გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N19 (9270) | 10 ივლისი. 2018 წელი | ფასი 50 თეთრი


## მუნიციპალიტეტის მერი პირობას ასრულებს



2



3

## კალთა გადაგვაფარე, ღვთისმშობელო მარიამ!

## ტურისტული საინფორმაციო ბაზის შექმნა დაიწყო

2



## ჩვენ ვირჩევთ პრეზიდენტს, მძიმეა მონომახის ქუდი

4

## კითხვას: გვეშველება რამე? შეიძლება, დადებითი პასუხიც ჰქონდეს



9

## „მე მაცვია მანია!"

## ვისაც აღმზრდელ-პედაგოგობა სურს...

## „ყველგან და ყოველთვის ავღნიშნავ, რომ დავიბადე და გავიზარდე სამტრედიაში"



5

## მეგზევეებმა უძველესი სარკინიგზო ხიდი აღმოაჩინეს




3

# ტურისტული საინფორმაციო ბაზის შექმნა დაიწყო



**ნინო ნანიტაშვილი**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ტურიზმის რესურსის წარმოჩენისა და განვითარების მიზნით იწყებს ტურისტული საინფორმაციო ბაზის შექმნას. ამ უკანასკნელში იგულისხმება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ტურისტული რუკის მომზადება, ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენებზე ბუკლეტების დაბეჭდვა, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესახებ ვიდეორგოლის მომზადება, იგეგმება გადაღებების წარმოება, როგორც საჰაერო, ასევე ჩვეულებრივი ვიდეოკამერებით.

ტურისტული ბაზის შექმნას ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, და ტურიზმის სამსახური.

სიახლის შესახებ "სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა დარგის კურატორს, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს, დავით ბახტაძეს. მისი განმარტებით, ტურისტული საინფორმაციო გზის შექმნა დაამსხვრევს სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც სამტრედიაში ტურიზმის განვითარების რესურსი შეზღუდულია: "მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება ტურიზმია. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ტურიზმის რესურსის განვითარების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა არსებობს. პირველ რიგში ბალნეოლოგიური კურორტის აღორძინებით. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში არის უამრავი რამ, რითაც შესაძლებელია ადგილობრივი, თუ უცხოელი ტურისტების დაინტერესება. კერძოდ, დიდ ჯიხაიშში ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, ილორის დენდროლოგიური პარკი, ტოლების ტელეფისის ციხე, გამოჩინებულში ზანდოს მონასტერი და ა. შ.

საკვანძო მდებარეობა სამტრედიის მუნიციპალიტეტში ხელსაყრელს ხდის ტურისტების ნაკადის მატებას, რომლებიც მოძრაობენ როგორც საავტომობილო, სარკინიგზო, ასევე, საჰაერო ტრანსპორტით. ბოლო დროს შეინიშნება დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში ჩამოსული უცხოელი ტურისტების დაინტერესება სამტრედიის საკოლმეურნეო ბაზარში პროდუქტების შეძენით, ისინი ქალაქში არსებული სასტუმროებითაც ინტენსიურად სარგებლობენ. ეს გარემოება გამოსაყენებელია, რადგან ტურისტთა სიმრავლე ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას ხელს უწყობს.

საინფორმაციო ბაზის შექმნა საშუალებას მოგვცემს, ტურისტებს შევთავაზოთ საინტერესოდ გაატარონ დრო ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. საინფორმაციო ბაზის შექმნის დასრულება იგეგმება მიმდინარე წლის ბოლომდე. ამ მიმართულებით უამრავი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი"

# მუნიციპალიტეტის მერი პირობას ასრულებს

**ნინო ნანიტაშვილი**

დაზიანებული მილი გამოიცვალა სოფელ ჭოგნარში, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა ცენტრალური მაგისტრალიდან მიღებული წყლით მარაგდებოდა.

110 მილიმეტრიანი მილი მაღალი წნევის 10 ატმოსფეროზეა გათვლილი. სწორედ ამ დიამეტრის მილით სოფელ ჭოგნარში 4 კილომეტრ მანძილზე მიედინება წყალი და მოსახლეობა მიწოდებული წყლის წნევით კმაყოფილია.

პრობლემა იყო 100 მეტრი სიგრძის მილზე არსებული დაზიანება, რომელიც სოფელ გამოჩინებულის ტერიტორიაზე დაფიქსირდა.

აღდგენითი სამუშაოები ერთ დღეში ჩატარდა. მიმდინარე სამუშაოები 7 ივლისს მუნიციპალიტეტის მერმა მოინახულა. ვალერიანე ფოცხვერიამ საჯავახოს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან, შავლეგ თარგამაძესთან, ერთად მილების გამოცვლის პროცესში მონაწილეობა თავადაც მიიღო.

"სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა საჯავახოს თემის თავკაცს: "საჯავახოს თემში ცენტრალური წყალმომარაგება წინა საუკუნის 60-იან წლებში მოწესრიგდა. მას შემდეგ ქსელს ეტაპობრივად უტარდებოდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. რაც შეეხება კაპიტალურს, საერთოდ არ ჩატარებია, ამდენად, საჯავახოს ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის პრობლემა მუდმივად იდგა. რაც შეეხება მაგისტრალის კონკრეტულ მონაკვეთს, დაახლოებით 50 წლის წინ მიწაში ჩადებული რკინის მილი აბსოლუტურად გამოსული იყო მწყობრიდან. ამოღების დროს ვნახეთ, რომ 100 მეტრი მილი მთელ სიგრძეზე გახსნილი იყო და წყლის დაახლოებით ერთი მესამედი იკარგებოდა.

სოფელ ჭოგნარიდან მოსახლეობასთან შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა ადგილობრივების მოთხოვნა მოისმინა. ვალერიანე ფოცხვერია ჭოგნარელებს დაჰპირდა, რომ მთლიანად გამოიცვლებოდა 4 კილომეტრიანი მილი და დაიწყებოდა სამუშაოები შიდა ქსელის მოსაწესრიგებლადაც.

სამტრედიის მერმა პირობის შესრულება დაიწყო. 7 ივლისს ჭოგნარში გასულმა როგორც თავად აღნიშნა, დანაპირებს ბოლომდე მიიყვანს.

"აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების სამტრედიის სერვისცენტრის ტექნიკურ განყოფილებას სოფელ ჭოგნარში გულიანად შესრულებული სამუშაოებისთვის". _ განაცხადა მან.









# საკრებულოს მორიგი სხდომა გამართა

2 ივლისს გამართულ სხდომას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი კობა ძიძიგური უძღვებოდა.

დღის წესრიგში დასმულ საკითხთა შესახებ შეკრებილთ საფინანსო-საბიუჯეტო, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიათა თავმჯდომარეებმა, შალვა არზუმანიანმა, მანანა სირბილაძემ და მერაბ ულრელიძემ მოახსენეს.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა საკითხი ააიპ "საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის" მიერ 2018 წელს განსახორციელებელი პროგრამისა და ამ პროგრამის შესრულებისათვის საჭირო ხარჯის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის შესაბამის განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა განმარტა, ცვლილება გამოიწვია 2018 წლის თამბაქოს მონიტორინგის პროგრამაში მონაწილე თანამშრომლების (ექიმი ეპიდემიოლოგი, ბუღალტერი) შრომითმა ანაზღაურებამ.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება "სამტრედიის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 აგვისტოს შესაბამის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

განხილულ საკითხთა ირგვლივ, რომლებიც მუნიციპალიტეტის საჭირბოროტო საკითხებს ეხებოდა, შესაბამისი დადგენილებები იქნა მიღებული.

ლევან გაბეჩავა



# ვისაც აღმზრდელ-პედაგოგობა სურს...

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა გამოსცა ბრძანება აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის დამტკიცების შესახებ, რომლის თანახმადაც უნდა დამტკიცდეს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება.

ტრენინგ-მოდული შედგება 33 სესიისგან, თითოეული სესიის ხანგრძლივობა არის 2 საათი. ტრენინგ-მოდული ჯამში მოიცავს 66 საკონტაქტო და 34 არასაკონტაქტო საათს.

აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიზანია აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება და პროფესიული განვითარება.

არასაკონტაქტო საათი – ტრენინგ-მოდულის განხორციელების პროცესში მონაწილის დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დროა, რომელიც ეთმობა მიცემული დავალებების შესრულებას, საკითხავი მასალის დამუშავებასა და დამოუკიდებელ პრაქტიკას;

ტრენინგ-მოდულის სამიზნე ჯგუფები არიან:

ა. პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ ''აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №478 დადგენილებით დამტკიცებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტით აღმზრდელ-პედაგოგის განათლებასთან დადგენილ მოთხოვნებს და სურვილი აქვთ დასაქმდნენ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში აღმზრდელ-პედაგოგად;

ბ. პირები, რომლებიც დასაქმებულები არიან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების კორდინატორად/მეთოდისტად.

ტრენინგ-მოდულში წარმოდგენილია თემები/აქტივობები, თითოეული თემის/აქტივობის მიზანი, აღწერა, განხორციელებისათვის საჭირო დრო და რესურსების ჩამონათვალი, მონაწილის შეფასების სისტემა. აღნიშნული სავალდებულოა ტრენინგ-მოდულის მიმწოდებლის მიერ შემუშავებული ტრენინგ-მოდულისათვის.

დამკვეთი მუნიციპალიტეტი ტრენინგ-მოდულის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან ერთად წინასწარ განსაზღვრავს ტრენინგ-მოდულის განხორციელების განრიგს (დღეებისა და სესიების განაწილებას). ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტრენინგ-მოდულის ჯამური საკონტაქტო საათის დაცვა სავალდებულოა.

ტრენინგ-მოდულის განხორციელება შესაძლებელია როგორც ერთ, ორ, ისე სამ სესიად. აუცილებელია, ტრენინგ-მოდულის განხორციელების დღეებს შორის დაცული იყოს პრაქტიკული დავალებების განხორციელებისთვის საჭირო გონივრული/შესაბამისი პერიოდი.

ტრენინგ-მოდულის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

ტრენინგ-მოდულის წარმატებით გასავლელად მონაწილემ უნდა დააგროვოს 60 ქულა 100 ქულიდან, რის შემდეგაც გადაეცემა ტრენინგ-მოდულის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ტრენინგ-მოდულთან დაკავშირებულ საკითხავ მასალას განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

ტრენინგ-მოდულის ფარგლებში მონაწილეთა სამუშაო რვეულის შინაარსს განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

აღმზრდელებს აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი რომ მიენიჭოს, ტრენინგ-მოდული უნდა ჩატარდეს განათლების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

ეს ინფორმაცია ''სამტრედიის მაცნეს'' სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ მიაწოდა. საინტერესო და სავალდებულოდ შესასრულებელია მათთვის, ვინც აღმზრდელ-პედაგოგად მუშაობას გადაწყვეტს.

**ნინო ნანიტაშვილი**

# კალთა გადაგვაფარე, ღვთისმშობელო მარიამ!

**ლევან გაბეჩავა**

***როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების ''ივერიისა'' ერთობლივი გადაწყვეტილებით, საქართველოში მოგზაურობს აწყურისა და ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები.***

***30 ივნისი, შაბათი, გაუსაძლისი სიცხის მიუხედავად მრევლი დედა ეკლესიისა უდიდესი კრძალვითა და პატივით, განუზომელი სიხარულით შეეგება სამტრედიაში ხატების შემობრძანებას.***

***მაცხოვრის შობის ტაძრიდან საკათედრო ტაძრამდე მსვლელობით მიაბრძანეს ხატები.***

***აქ, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში კი, წირვის შემდეგ, მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველმა, მიტროპოლიტმა მეუფე საბამ მრევლს ქადაგებით მიმართა. ხატები ტაძარში 7 ივლისამდე იყო დაბრძანებული და შესაბამისად, არნახული ხალხმრავლობაც გახლდათ ამ დღეებში ტაძარში.***

''სამტრედიის მაცნე'' მთელი კვირის მანძილზე თვალყურს ადევნებდა მოვლენებს, რამდენიმე მორწმუნეს მცირე კომენტარიც ვთხოვეთ.

''ხატებს მაცხოვრის ტაძართან, მრევლთან ერთად შევეგებე, მერე მეუფის ქადაგებაც მოვისმინე, უდიდესი მადლია ხატების მობრძანება, ყველას გილოცავთ!'' – ასე გამოხატა სიხარული ილორელმა ანა სულავამ. ქალბატონ ანას დაკვირვებული თვალი ხშირად შეამჩნევს საკათედრო ტაძარში მხურვალედ მლოცველს.

''ღვთისმშობლის ხატების მობრძანება უდიდესი მადლი, ღვთის წყალობაა, მეუღლესთან, შვილთან, გიორგი და მიხეილ ლეჟავებთან ერთად მოვედი ტაძარში, გილოცავთ ყველას უფალმა გაგაძლიეროთ!'' – გვეუბნება დიდი ჯიხაიშის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი ქალბატონი მანანა ჭელიშვილი.

''ბათუმიდან სამტრედიაში ბებია-ბაბუასთან ვართ ჩამოსული არდადეგებზე, ტელევიზიით მოვისმინეთ ხატებს მოაბრძანებენო და მოვედით, ხალხის სიმრავლის გამო ჯერ ხატებს ვერ ვემთხვიეთ, თუმცა, ტაძრიდან ისე არ გავალთ. როცა ბათუმში ჩავალთ ამხანაგებს მოვუყვები. ძალიან ლამაზი ტაძარია, ვისი სახელობისაა არ ვიცით, მაგრამ ყველაფერი მშვენიერია, შემწეობას ჩვენთან, ბათუმშიც ითხოვენ ტაძრებთან, როგორც აქ.'' – გვითხრეს ნიკუშა და ეთო კოვზაძეებმა.

დილიდანვე ცუდად ვგრძნობდი თავს, ხატებს მაინც შევეგებე, საოცარი სიცხე იყო, გონი დავკარგე, საავადმყოფოში მოვსულიერდი, მრევლს, ნაცნობებს სასწრაფო-სამედიცინო მომსახურების მანქანით გადავუყვანივარ ტაძრიდან გულწასული, სწორედ უფლისა და ამ ხატების მადლმა გადამარჩინა, ვმადლობ უფალს, გაგაძლიეროთ და დაგიცვათ ღვთისმშობელმა!'' – ასეთია ღვაწლმოსილი პედაგოგის, ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველის, ქალბატონი ფოთოლა ჩიქობავას, კომენტარი.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს პირველი პირები, საკრებულოს წევრები, მერიის სამსახურების უფროსები, განათლების, ჯანდაცვის მუშაკები – ყველა თაობის წარმომადგენელს იხილავდით ტაძარში ამ დღეებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აშკარად შესამჩნევი იყო ახალგაზრდების სიმრავლე, მრავლად იყვნენ აგრეთვე, სტიქარით შემოსილი სკოლის მოსწავლეები, რაც უდავოდ მისასალმებელია.

5 ივლისს ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში რელიგიურ-შემეცნებითი ხასიათის ფილმები უჩვენეს. ეს ღონისძიებაც პირდაპირ კავშირში გახლდათ საქართველოს მთავრობის, საქართველოს საპატრიარქოსა და საზოგადოების ''ივერიისა'' ერთობლივი გადაწყვეტილებისა, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საუკუნოვანი იუბილის აღნიშვნას ეძღვნება.

უდიდესი ღვთიური მადლით აღვსილი სამტრედიელები ღვთისმშობელს ავედრებენ საკუთარ ოჯახებს, სრულიად საქართველოს.

ღვთისმშობელი იყოს შემწე და მეოხი სრულიად საქართველოსი!





# მეგზევეებმა უძველესი სარკინიგზო ხიდი აღმოაჩინეს

**ნათია ნაცვლიშვილი**

***სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დაფნარში მეგზევეებმა სამუშაოების წარმოების დროს მიწის ქვეშ დაფლული უძველესი ხიდი აღმოაჩინეს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას კაბინეტში უკვე დევს ამ ხიდზე არსებული დამღის ასლი. მასზე კონსტრუქციის მწარმოებელი ქარხნის სახელწოდება და დამზადების თარიღია მითითებული. ხიდი უკვე ისტორიულ რელიკვიად იქცა.***

ზემოთ ხსენებული ასლის დამზადებაზე შპს ''ლატექსის'' დამფუძნებელმა, ზაზა თოფურიამ იზრუნა, მანვე შეატყობინა ადგილობრივ ხელისუფლებას ამ ისტორიული მნიშვნელობის ხიდის აღმოჩენის შესახებ. ''სამტრედის მაცნემ'' კომენტარი სთხოვა ადგილზე მისულ მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას და ინჟინერ-მშენებელს, დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელ ჯონი ნადირაძეს. ადგილზე ასევე იმყოფებოდა ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია.

ზაზა თოფურია: ''ორმული შეკეთების დროს აღმოვაჩინეთ დიდი ღრმული, მივიყვანეთ ტექნიკა, ამოვწმინდეთ და ამ ადგილას ხიდი აღმოჩნდა, კონსტრუქციას ზედ აქვს სპეციალური წარწერა, რომ ის თარიღდება 1886 წლით. მაშინვე შევატყობინეთ ეს ამბავი ადგილობრივ ხელისუფლებას, ეს ხიდი უკვე ჩვენი რაიონის სიამაყეა. ასევე მაშინვე ვაცნობეთ საავტომობილო გზების დეპარტამენტს. იყვნენ ადგილზე, დაათვალიერეს და შეისწავლეს საკითხი, აღფრთოვანებას ისინიც ვერ მალავდნენ, ითქვა, რომ შესაძლოა, ეს ხიდი იქნეს ამოღებული, რეკონსტრუქცია ჩაუტარდეს და შემდეგ იდეალური



იქნება, თუ გამოყოფენ ადგილს ქალაქში, სადაც ხიდი დაიდგმება, როგორც ისტორიული წარსულის მაცნე.''

ვალერიანე ფოცხვერია: ''გზის რეაბილიტაციის დროს მეგზევეებმა ეს ხიდი აღმოაჩინეს, მაშინვე დამირეკეს და



ამ უნიკალური ხიდის შესახებ მაცნობეს. ამ დღეებში ხიდის დამღის ასლი ჩამოასხმევინა ბატონმა ზაზა თოფურიამ და გადმომცა. ხიდი, სავარაუდოდ, უკავშირდება სამტრედიიდან ბათუმისკენ მიმავალ სარკინიგზო მაგისტრალს. მომავალში ვაპირებთ ამ ხიდის ამოღებას და იმ ადგილას განთავსებას, სადაც სამტრედიის, როგორც სარკინიგზო ქალაქის სიმბოლო, პირველი ორთქლმავალი დგას, მაგრამ საკითხი ჯერ საავტომობილო გზების დეპარტამენტთან არის შესათანხმებელი.''

ჯონი ნადირაძე: ''სარემონტო სამუშაოების დროს რვა მეტრი სიგრძის ხიდი აღმოაჩინეს, ეჭვგარეშეა, ეს არის სარკინიგზო ხიდი, ჩემი აზრით, ეს ხიდი გაკეთდა იმის გამო, რომ მის ქვეშ გადიოდა ან რიონის ერთ-ერთი ტოტი, ანდა არხი. ერთადერთი, რა კითხვაც ისმის, ის არის, რომ თვითონ ხიდის კონსტრუქცია 1886 წელს არის დამზადებული, ხოლო სამტრედია- ბათუმის რკინიგზის ხაზი ამოქმედდა 1883 წელს, როგორც ჩანს, რიონის აღნიშნულ ტოტზე ან არხზე თავდაპირველად აგებული იქნა დროებითი ხიდი, ანდა, მომდევნო წლებში აქ აშენებული ხიდი დაზიანდა და შეცვლილი იქნა ამჟამად აღმოჩენილი ხიდით. არ გამაჩნია ზუსტი ინფორმაცია, როდის იქნა ეს ხიდი აგებული, ისევე, როგორც არ გვაქვს ზუსტი ცნობა ძველი სარკინიგზო ხიდის დღეს მოქმედი სარკინიგზო ხიდით შეცვლის შესახებ. მიმაჩნია, რომ ტექნიკური უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე, რადგანაც ეს ხიდი დიდი ხნისაა, ამოღებული უნდა იქნას, იქ დაიყაროს ინერტული მასალა, მოშანდაგდეს და გზა დაიგოს.

# ჩვენ ვირჩევთ პრეზიდენტს, მძიმეა მონომახის ქუდი

ლევან გაბეჩავა

***ყოველი დღე გვაახლოებს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მოვლენასთან, საპრეზიდენტო არჩევნებთან.***

***პრეზიდენტი, კონსტიტუციით შეზღუდული აქვს თუ არა უფლებამოსილების რიგი ფუნქციები, მაინც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პირი, საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოს სახე და იმიჯის დამამკვიდრებელია, აქედან გამომდინარე აქვს სწორედ ამ არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ერისა და ქვეყნისათვის.***




როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, უმეტესად, რიგ სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოშიც, პრეზიდენტი ამავდროულად ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალიცაა. სწორედ ქვეყნის პირველი პირისათვის ავტომატურად ბოძებულ მეორე (თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, უპირველეს) თანამდებობაზე გავამახვილებთ ამჯერად ყურადღებას.

ღმერთმა აშოროს კაცობრიობას, ნებისმიერ ერს, რაღა თქმა უნდა, ჩვენ, ქართველებს ომი და კონფრონტაცია, მაგრამ, ისევ ჩვენი აზრით, მთავარსარდალი მხოლოდ საომარი მოქმედებებისას და რიგ საზეიმო დღეებში აღლუმებზე გამოჩენით არ უნდა კმაყოფილდებოდეს.

რაშია საქმე? რისი თქმა მსურს?

მედიასაშუალებები, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად გვამცნობენ, რომ რუსეთის მხარე ოკუპირებული ტერიტორიების მახლობელი სოფლებიდან ახორციელებს საქართველოს მოქალაქეების გატაცებას, ამას, ლამის, ტრადიციული ხასიათი მიეცა, მეორეც, ისევ არაიშვიათად ისიც გვესმის, რომ ამა და ამ ტერიტორიაზე ეგრეთ წოდებული საზღვარი ამდენი და ამდენი მეტრით გადმოსწია ოკუპანტმა მხარემო, ე. ი. მცოცავი ანექსია გრძელდება.

აი, თითოეული ასეთი ქმედების დროს უნდა მოხდეს უმკაცრესი რეაგირება მთავარსარდლისაგან და მისი გენერალიტეტისაგან, არც ერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე. ასეცააო, გვითხრას იქნებ მავანმა, კი ბატონებო, მაგრამ მაშინ რატომ არ მოეღო ბოლო მსგავს ქმედებებს? თუ ჯეროვნად გავცემთ (საერთაშორისო კანონმდებლობით) პასუხს აგრესორთა ამ ახირებულ საქციელს მეორედ, მესამედ, მეათედ.... ის ვერ გაბედავს, მეტრობით მიიტაცოს ის მიწა, მამა-პაპის სისხლით რომაა გაპოხიერებული, რომლის თითო გოჯისთვისაც კი სიცოცხლეს სწირავდნენ ჩვენი გმირები.

სათქმელი, ასე თუ ისე, ვთქვით.

საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, პრეზიდენტია (უნდა იყოს) ქვეყნის საშინაო პოლიტიკისა და საგარეო ვექტორის ძირითადი განმსაზღვრელი, ხოლო მან, პრეზიდენტმა, მაშინაც კი უნდა იფხიზლოს, ამ სიტყვების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გაგებით, როცა ერს სძინავს (არაპოლიტიკური ძილი გვაქვს ამ შემთხვევაში მხედველობაში. ლ.გ.), ესე იგი პრეზიდენტობა და პრეზიდენტობასთან ერთად საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ანუ ყველაფერი ეს ამომრჩევლებმაც უნდა გავითვალისწინოთ წინასაარჩევნო პერიოდსა და მაშინ, როცა საკუთარი ნების გამოსახატავად საარჩევნო ყუთებთან მივალთ და თავად იმ ადამიანებმაც, პოლიტიკოსებმაც, რომლებიც სამიათასხუთასწლიანი სახელმწიფოებრიობის მქონე ერისა და ქვეყნის პირველკაცობისათვის გამოთქვამენ სურვილს, აქვთ პრეტენზიები და ა. შ.

დღეს, როცა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტზე მეტი ოკუპირებულია, როცა საბოლოოდ ჯერ კიდევ არაა გადაჭრილი ქვეყნის შიგნით დევნილთა ყოფითი პრობლემები, როცა დასაბრუნებელია აფხაზეთი, სახელმწიფოს ოკუპირებული ტერიტორიები და ყოველი დღე გვაახლოებს ნატოში გაწევრიანებასთან, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს კოლოსალური უფლებები და მოვალეობები, უდიდესი სამუშაო აქვს. აქვე მიგვაჩნია, რომ პოლიტიკოსებმა, თუ ცალკეულმა პირებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ თვითცენზურა, როცა სახელმწიფოს პირველ პირებზე საუბრობენ. ბევრს არ გავაგრძელებ, დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი მედია სულაც არ ნიშნავს იმას, ვისაც რა სურს ის თქვას, წეროს. ღმერთის წყალობით საერთაშორისო კანონმდებლობები და მორალური კანონები საუკეთესო საშუალებას გვაძლევს საიმისოდ, რომ ავიც და კარგიც იმ პრინციპით ვთქვათ, რომ თავსდებოდეს კანონის ჩარჩოებში.

ასე რომ, მძიმეა მონომახის ქუდი.

# ტრენინგი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის

ნინო ნანიტაშვილი

დიდ ჯიხაიში, ნიკო ნიკოლაძის მამულში 4 ივლისს სამტრედიელი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ პრეზენტაცია გამართა.

პროექტი, რომლის დასახელებაა ''სურსათისა და სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის ინიციატივა'', ევროკავშირის მიერ ფინანსდება.



პროექტი მიზნად ისახავს მცირე და საშუალო აგროსაწარმოების ევროკავშირის ბაზარზე გასვლაში დამხარებას ბიზნესის მხარდაჭერის, ორგანიზების გაძლიერების მიზნით.

2014 წლიდნ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ამოქმედდა, რომლის ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA). ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. საქართველო ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, ვისთანაც ევროკავშირს გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი.

სწორედ ამ ინფორმაციების მიღებას ითვალისწინებდა დიდ ჯიხაიში ნიკო ნიკოლაძის მამულში სამტრედიელი ფერმერებისთვის გამართული შეხვედრა, რომლის ორგანიზება პარტნიორმა ორგანიზაციამ ''სამანმა'' უზრუნველყო (ხელმძღვანელი ანდრო ნიკოლაიშვილი).

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საკუთარი მოსაზრებები გააჩნია სამტრედიაში მოქმედ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს.

ქეთევან გოგოჭური, პროექტის მენეჯერი:



''საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას, გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. საკანონმდებლო დაახლოების შედეგად შესაძლებელი გახდება არასატარიფო ბარიერების გადალახვა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად ზღუდავს ვაჭრობას, ვიდრე ტარიფები.

შეთანხმების სამოქმედო გეგმის მიხედვით, ეტაპობრივად მოხდება ქართული კანონმდებლობის დაახლოვება ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან. აღნიშნული, ერთი მხრივ, გაზრდის ქართული პროდუქციის ხარისხს, ხოლო, მეორე მხრივ, გაამარტივებს ქართული საქონლის ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში.

მეწარმეებმა, წარმოების პროცესში, ყურადღება უნდა მიაქციონ ახალ სტანდარტებს და ყველა იმ საკითხს, რომელზეც საუბარი გვქონდა დიდ ჯიხაიში გამართულ შეხვედრაზე''.

9 და 10 ივლისს მსგავსი ტრენინგები გაიმართა ვანში. დაახლოებით 40 მეწარმეს ნათელი წარმოდგენა შეექმნა ევროკავშირის თავისუფალი ბაზრის მოთხოვნებზე.

# კითხვას: გვეშველება რამე? შეიძლება, დადებითი პასუხიც ჰქონდეს

***სანამ ძალიან დაგვიანებული არ არის, სანამ ჯერ ისევ ვარსებობთ და მკითხველიც ჯერ კიდევ შეიძლება მოვიძიოთ, ჩვენი რეალობა სწორად უნდა გავაანალიზოთ და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დავიწყოთ! თუმცა დღემდე არსებული სამი პასუხი არც გამოსავალია და არც პასუხი.***

მაგალითად: პასუხი 1. ''როცა ჩვენი ხალხი გამოსწორდება, მაშინ გვეშველება;'' ეს პასუხი სწორი არ არის, რადგან არსებულმა ცხოვრების წესმა შექმნა თანამედროვე ადამიანი და ჩვენი ''დროის გმირები''. დიახ, ცხოვრების წესის შესაბამისად გამოიმუშავებს ადამიანი თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან იმ უნარებსა თუ თვისებებს, რომლებიც მას ამ სამყაროში საკუთარი თავის დასამკვიდრებლად სჭირდება! არსებული გარემოს მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ერთი და იგივე გენოტიპები სხვადასხვა გარემოში სხვადასხვა ფენოტიპებად ჩამოყალიბდებიან ხოლმე.

სწორედ ამიტომ წერს სპენსერი, რომ ''ხელისუფლების ვალია, კარგი, მაღალზნეობრივი თვისებები განუვითაროს ერის ხასიათს''. დიახ, თუ გარემოებები, ცხოვრების წესი არ შეიცვლება, რომლებიც შექმნის განსხვავებულ განწყობას ადამიანში, ისე იგი ახალ პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება (დიმიტრი უზნაძეც გავიხსენოთ).

ხოლო, როცა ქვეყნად არსებული კანონები ადამიანის ინტერესების მიღმაა და ზოგჯერ ეწინააღმდეგება კიდეც მას, მაშინ ადამიანის მიერ გამოვლენილი ქმედებებიც შესაბამისად დესტრუქციულიცაა და ფეთქებადიც.

ტოლსტოისაც მოვიშველიებ: ''ადამიანი თავის არსებაში ადამიანურ თვისებათა ყველა ჩანასახს ატარებს და გარემოების შესაბამისად ავლენს თითოეულ მათგანს, ზოგჯერ სრულიად არა ჰგავს საკუთარ თავს''.

2. ''აღარაფერი გვეშველება''; ეს პასუხი არც სწორია და არც მისაღები, შეიძლება მავანს და მავანს კი სურდეს ასე, მაგრამ ასეთი პასუხი უიმედობაა, მკრეხელობაა, ღმერთის უარყოფაა და უმოქმედობის გამართლებაა!

3. ''ჩვენს მერე ახალგაზრდობა გამოასწორებს ყველაფერს და დასავლეთის, ევროპის მსგავსად ჩვენც განვვითარდებით'';

არც ეს პასუხია სწორი. ჩვენი გვერდით დგომის გარეშე ახალგაზრდების რომელი სეგმენტი გვიშველის? ნარკოტიკებით გაბრუებულნი? ერთმანეთის ხოცვასა და ჩაგვრაში გაწაფულები? მხოლოდ საკუთარი წარმატების ტყვეობაში მოქცეულნი (ჩვენი არაფერი რომ არ მოსწონთ)? დასავლეთში ჩარჩენილები? დასავლეთიდან ქურდობის, ყაჩაღობისა და არასაკმარისი განათლების გამო უკან დაბრუნებულები? თუ კარვებსა და მიტინგებში ანგაჟირებულები?

გარდა ამისა, თაობათა შორის წყვეტა თუ მოხდა (რისთვისაც თავგამოდებით იღვწიან მოსყიდული ადამიანები), კარგ შედეგს მაინც ვერ მივიღებთ, ამიტომ აუცილებელია, გვერდით დავუდგეთ საღად მოაზროვნე ჩვენი ახალგაზრდობის იმ მცირე ნაწილს (სანამ ჩვენც ვარსებობთ და ისინიც) და ჩვენი წარსულიც გავიხსენოთ, აწმყოც და მომავალიც გავაანალიზოთ!

რადგან როგორც დიდი ილია ამბობდა: ''შვილმა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მისი მამა, რაში იყო მართალი და რაშიც შემცდარი, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა, უიმისოდ რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ემსგავსება და ამ წუთისოფელში ვერას გახდება''. თუ გავითვალისწინებთ, რომ

1. ახალ დამოუკიდებელ საქართველოში 5 მილიონიანი ჩვენი მოსახლეობა თითქმის 3 მილიონამდე შემცირდა;

2. ტერიტორიებიც დავკარგეთ;

3. მოსახლეობის საგულისხმო ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. 4. განათლების სისტემაშიც მნიშვნელოვანი ჩავარდნები გვაქვს;

5. ლიბერალური პოლიტიკის მხარდაჭერით კაზინოების, ბორდელების შეუზღუდავმა რაოდენობამ მნიშვნელოვანად გააუარესა მოსახლეობის როგორც მორალური მხარე, ისე ეკონომიკური და

6. გაეროს მონაცემებით (თუ ასე გაგარძელდა ჩვენი ცხოვრება) 2050 წელს ნახევარი მილიონიც აღარ დავრჩებით, გამოდის, რომ დიდად ვერაფრისთვის მიგვიღწევია!

ხოლო ევროკავშირში ვიზალიბერალიზაცია, რომელიც თანდათან ჩვენთვის ლიბერალობას კარგავს (თან, ძირითადად, ეს სიკეთე ჩვენი გენოფონდის



ქვეყნიდან გადინებას უწყობს ხელს) ასევე ზესახელმწიფოს სამხედრო პლაცდარმის არსებობა საკუთარ ქვეყანაში, საშიშროებას უფრო წარმოადგენს და ვერანაირად გადასწონის ზემოთ ნათქვამს თუ მრავალ უთქმელ საგულისხმო მოვლენას ჩვენს ქვეყანაში.

იბადება მეორე ლოგიკური კითხვა: ცხოვრების რა წესმა განაპირობა ჩვენი ასეთი მდგომარეობა? მოგახსენებთ, ქვეყნად ახლა კაპიტალიზმის თანამედროვე სახეობა _ ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობა სუფევს.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენთან არჩევნების ლეგიტიმურობის მოსაპოვებლად მოსახლეობის მხოლოდ 30%-ის მონაწილეობაა საკმარისი, ჩემთვის ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის ფაქტი ეჭვის ქვეშ დგება! მით უფრო, რომ ქვეყნის სწორედ მოსახლეობის 30%-ს აქვს ცხოვრების ნორმალური პირობები და მაღალი სტანდარტებიც. ხოლო ქვეყნის ყველა სიკეთე და წარმატება, რომლითაც თავს იწონებენ ჩვენი ხელისუფალნი, მხოლოდ მოსახლეობის ამ სეგმენტისთვის არის ხელმისაწვდომი. ამიტომ დანარჩენი სოციალური ფენები მათთან შედარებით ქვეყნის კანონმდებლობასა და გადასახადებთან მიმართებაში ძალიან არათანაბარ პირობებში ვიმყოფებით.

მართალია, სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც არჩევნების ჩასატარებლად 30%-იანი ზღვარი არსებობს (როგორც ბევრი სხვა ფორმატი, ესეც იქიდან გვაქვს გადმოტანილი), მაგრამ ეს ფაქტი დემოკრატიის არსებობას, რბილად რომ ვთქვათ, ვერ ასაბუთებს. ხოლო პოზიტიურ წეს-კანონებს, რითაც ფეხზე დგას დასავლეთის ქვეყნები, ჩვენთან ჯერ არ შემოუღწევია.

მაგალითი I: სამუშაოს ძიების მიზნით, ჩვენი მოსახლეობის გადინება დასავლეთში იმას მიუთითებს, რომ იქ ასეთი სამუშაო არსებობს, თან (ჩვენთან შედარებით) მაღალი ანაზღაურებით. უფრო მეტიც, საზღვარგარეთიდან შემოსული ფულადი გზავნილებით არა მხოლოდ მოსახლეობა სარგებლობს, ამ გზავნილებზე განხორციელებული საბანკო ოპერაციებით მნიშვნელოვნად იზრდება ქვეყნის ბიუჯეტიც.

გაგრძელება გვ.8

# "ყველგან და ყოველთვის აღვნიშნავ, რომ დავიბადე და გავიზარდე სამტრედიაში"

ნათია ნაცვლიშვილი

***საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში, დავით ჯოჯუა, საუკეთესო ოჯახური ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. მის უამრავ რეგალიას არ ჩამოვთვლით, უბრალოდ ვიტყვით, რომ მას კიდევ ბევრი საჭადრაკო მწვერვალი აქვს დასაპყრობი. მრავალთაგან მისი ერთ-ერთი ღირსება კი ის არის, რომ უკვე ზრუნავს, ჭადრაკის სიყვარული მომავალ თაობასაც გაუღვივოს. შესანიშნავი რესპონდენტის სამტრედიაში სტუმრობით ვისარგებლეთ და მას როგორც განვლილ მნიშვნელოვან წარმატებებზე, ისე სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ.***





_ ჭადრაკის თამაში მამამ 4 წლისას მასწავლა. მამა, ჯონი ჯოჯუა პროფესიით ინჟინერი გახლდათ, შემდეგ ოჯახში ბაბუას, ვარლამ პაპავას (პროფესიით ქირურგი იყო) ვეთამაშებოდი. მაგრამ ინტერესი არ გამომიხატავს, პედაგოგთან მივსულიყავი. იმხანად 24-ე, დღევანდელ მეთერთმეტე საჯარო სკოლაში ვსწავლობდი, პირველ კლასში რომ ვიყავი, რადგან პირველი კლასის მასალა უკვე ვიცოდი, შეიქმნა კომისია და გადაწყდა, გადავეყვანე მეორე კლასში. ჩემი კლასის დამრიგებელი ლალა ლეკვეიშვილი იყო, მაშინ სკოლაში ჭადრაკის წრეს ხელმძღვანელობდა ბატონი ანზორ მაჩიტიძე, ის იყო ჩემი პირველი მწვრთნელი. ბატონი ანზორი შემოვიდა კლასში და იკითხა, ვის სურდა ჭადრაკის შესწავლა. სხვათა შორის, მე არ გამომითქვამს სურვილი, მაგრამ ქალბატონმა ლალამ უთხრა, მათემატიკაში ძალიან ნიჭიერია და შეიძლება, კარგად ითამაშოს ჭადრაკიო. ასე დავიწყე ბატონ ანზორთან მუშაობა, ორი კვირა იყო გასული, რომ დაიბარა მშობლები და უთხრა, უკეთესი იქნებოდა, თუ დავიწყებდი სიარულს საჭადრაკო სკოლაში და ჩამიტარებდა ინდივიდუალურ გაკვეთილებს. ასეც მოხდა. პირველი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მივიღე, გაიმართა ბაქოში. სხვათა შორის, ეს ტურნირი დამიფინანსა მაშინდელმა ქალაქის მერმა ბეჟან გოგიამ, რომელიც ახლა შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორია. ეს იყო 1996 წელი, ძალიან რთული პერიოდი, ქვეყანას უჭირდა. ამ ტურნირში 8 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის დავიკავე მეორე ადგილი.





**_ და მას შემდეგ თქვენი წარმატებული სვლა არ შენელებულა...**

_ 1998 წელს თბილისში გამართულ საჭადრაკო ჩემპიონატზე დავიკავე მეორე ადგილი და ამ გამარჯვებით მოვიპოვე ევროპის ჩემპიონატის საგზური. ჩემპიონატი ჩატარდა ავსტრიაში, ქალაქ მურეკიში, აქ არც ისე კარგად გამოვედი, თუმცა, იმავე წელს გავემგზავრე მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთის ქალაქ ოროპეზა დელ მარიში, ტურნირი თერთმეტ პარტიას მოიცავდა, 9 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად პირველი ადგილის მფლობელი ვიყავი, თუმცა ალბათ, გამოუცდელობის გამო, დავთმე ბოლო ორი პარტია და დავიკავე მეშვიდე ადგილი, რაზეც მახსოვს, მამამ ძალიან ინერვიულა.

ბაქოში ტურნირზე დედაც, მამაც და ანზორ მაჩიტიძეც მახლდნენ, შემდეგ უკვე ყველა ტურნირზე 1998 წლიდან 2005 წლამდე დედა, ქეთევან პაპავა მახლდა და მგულშემატკივრობდა. 1999 წელს მესამე ადგილი ავიღე ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც საბერძნეთის ქალაქ ლიტოჰოროში გაიმართა.

**_ ანზორ მაჩიტიძე საქართველოს საჭადრაკო სამყაროს საუკეთესო წარმომადგენელია, მას როგორ გაიხსენებთ?**

_ 1996-1998 წლების ჩათვლით სისტემატიურად ვმუშაობდი ანზორ მაჩიტიძესთან, დავდიოდი როგორც საჭადრაკო სკოლაში, ასევე, მასთან სახლში, სადაც დამატებით გაკვეთილებს მიტარებდა. ჩემს წარმატებაში მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის. 1998 წლიდან ოჯახმა ამიყვანა პედაგოგი, ალექსანდრე ბოკუჩავა, ყოველი მნიშვნელოვანი ტურნირის წინ გვქონდა შეკრებები. ამ ოთხწლიანი თანამშრომლობის შედეგად მოვიპოვე ევროპის ჩემპიონატზე 10 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის მესამე ადგილი, 2000 წელს კი, საქართველოს ჩემპიონატზე 12 წლამდე მოჭადრაკეთა შორის, დავიკავე პირველი ადგილი. 2002 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე, 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის, საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე დავიკავე მესამე ადგილი.

**_ დედაქალაქში როდის გადახვედით?**

_ 2002 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავე, მირჩიეს, მეცადინეობა საერთაშორისო ოსტატ ხვიჩა სუპატაშვილთან გამეგრძელებინა. შესაბამისად, 2005 წლიდან იწყება განსაკუთრებული წარმატებები დიდ ჭადრაკში. 2005 წლის ევროპის ჩემპიონატზე 16 წლამდე მოჭადრაკეთა შორის დავიკავე მეორე ადგილი, 2007 წელს მომენიჭა საერთაშორისო ოსტატის წოდება, ორი წლის შემდეგ კი, 19 წლისას მომენიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება, იმ დროისათვის ვიყავი ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი საქართველოში.

**_ როგორც ცნობილია, სამწვრთნელო კარიერა ჭადრაკის თამაშის პარალელურად დაიწყეთ...**

_ 2011 წლიდან პერიოდულად ვმუშაობდი საქართველოს ქალთა ნაკრებთან, 2015 წელს ვიყავი ბელა ხოტენაშვილის პირადი მწვრთნელი, რომელმაც მსოფლიო გრან-პრის ერთი ეტაპი მოიგო, ხოლო მეორეში დაიკავა მეორე ადგილი, შემდეგ კი დავინიშნე საქართველოს ქალთა ნაკრების მწვრთნელად და მათივე მოთხოვნით დავინიშნე ამ ნაკრების კაპიტნად. 2015 წელს, ჩინეთის ქალაქ ჩენგდუში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, საქართველოს ქალთა ნაკრები ისტორიაში პირველად გახდა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული. ჩემთან ერთად ნაკრებს წვრთნიდა ესპანეთში მცხოვრები ელიზბარ უბილავა. იმავე წელს საქართველოს ქალთა ნაკრებმა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე დაიკავა მესამე ადგილი, 2015 წელს გავხდი საქართველოს თასის გამარჯვებული, 2016 წელს კი გავხდი საქართველოს ჩემპიონი.





**_ თქვენს მიერ ახლახან გახსნილ საჭადრაკო სკოლის შესახებაც გვითხარით...**

_ ჩემი მშობლების დიდი სურვილი იყო, გამეხსნა სამტრედიაში საჭადრაკო სკოლა. მამა ერთი წლის წინ გარდამეცვალა, მას ამ სკოლაზე მეთვალყურეობა უნდა გაეწია, ამიტომ სკოლის გახსნა ვეღარ შევძელი. თუმცა, მაინც ვფიქრობ, ადრე თუ გვიან, აქაც გავხსნა მსგავსი სკოლა. წლევანდელი წლის 1 ივნისს თბილისში, საბურთალოზე გავხსენი დავით ჯოჯუას საჭადრაკო სკოლა, სკოლაში ჯერჯერობით 13 მოსწავლეა, ვფიქრობთ, სასწავლო პროცესის განახლებასთან ერთად ბავშვების რაოდენობაც მოიმატებს. ჩემთან ერთად სკოლაში მეცადინეობას უძღვება საერთაშორისო დიდოსტატი კონსტანტინე შანავა.



**_ რატომ გადაწყვიტეთ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი გამხდარიყავით?**

_ ყოველთვის მაინტერესებდა მსოფლიო პოლიტიკა, დავამთავრე

ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი უცხო ენების სპეციალობით, ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ჩავაბარე საერთაშორისო ურთიერთობებზე. შემდეგ სწავლა დოქტორანტურაში განვაგრძე და დავიცავი ხარისხი თემაზე "ევრაზიული კავშირი _ იდეა და პერსპექტივები", თემის ხელმძღვანელი მწერალი რევაზ მიშველაძე გახლავთ.

**_ გვიამბეთ თქვენი ახლად შექმნილი ოჯახის შესახებ...**

_ მეუღლე, ნათია დავითულიანი უნივერსიტეტში გავიცანი, არის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, მაგისტრატურა ერთად დავამთავრეთ, გვყავს 4 წლის ანდრია.

**_ გარდა ჭადრაკისა, სპორტის სხვა რომელი სახეობები მოგწონთ?**

_ ყოველთვის ვვარჯიშობდი ფიზიკურად. მოჭადრაკისთვის ფიზიკური მომზადება აუცილებელია, რომ შეძლოს სრულად კონცენტრაცია პარტიის თამაშის დროს. ბავშვობაში მამა ყოველთვის ხელს მოწყობდა, დილაობით ვვარჯიშობდი, საღამოობით კი ვთამაშობდი ფეხბურთს, კალათბურთს. დღესაც გატაცებული ვარ სპორტით, განსაკუთრებით ფეხბურთით, არგენტინის ნაკრებს ვგულშემატკივრობდი მესის გამო.

**_ ტექნიკური ბეგ-რაუნდის მამაკაცებს ლიტერატურა ნაკლებად ხიბლავთ, თქვენ?**

_ ლიტერატურის კითხვა მიყვარს, არ მიზიდავს ფანტასტიკური ჟანრი. მიყვარს დეტექტივები, განსაკუთრებით აგათა კრისტი.

**_ რას იტყვით სამტრედიაზე, რამდენად გემშობლიურებათ ეს ქალაქი?**

_ ყოველთვის ვგრძნობდი სითბოს და სიყვარულს სამტრედიელებისაგან, ძალიან ბევრჯერ დამეხმარნენ როგორც მატერიალურად, ისე მორალურად, სანამ დიდოსტატი გავხდებოდი. ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ამ ქალაქს მოჭადრაკედ ჩემს ჩამოყალიბებაში. ყველგან და ყოველთვის აღვნიშნავ, რომ დავიბადე და გავიზარდე სამტრედიაში. დღეს გული მწყდება იმაზე, რომ სამტრედიაში აღარ ფუნქციონირებს საჭადრაკო სკოლა. სირცხვილია, ისეთი საჭადრაკო ტრადიციების ქალაქში, სადაც აღიზარდნენ მერაბ არჩვაძე, სოფიკო ტერელაძე, მერი არაბიძე და უამრავი სხვა მოჭადრაკე, არ ფუნქციონირებდეს საჭადრაკო სკოლა. რამდენადაც მახსოვს, ბატონი ანზორ მაჩიტიძის გარდაცვალების შემდეგ დაიშალა ის სკოლა.

# დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ქალაქო!

ლევან გაბეჩავა

***148 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა დებულებას ''საქალაქო თვითმმართველობის შემოღების შესახებ''.***

***შენ ხომ 1870 წელს დაიბადე, როცა ფოთიდან თბილისისაკენ სარკინიგზო ხაზი გაიხსნა.***

***რკინიგზას უკავშირდება შენი, როგორც ქალაქის, აღმოცენება და ამიტომაცაა, რკინიგზელთა ქალაქად რომ გცნობენ.***

***მართალია, უგუნური პოლიტიკოსებისა და პოლიტიკის წყალობით, დაშლილ-გაფარჩაკებულ ვეება საბჭოეთში, სისტემის მოშლის შემდეგ განვითარებულმა ქაოსმა, შენი, როგორც რკინიგზელთა ქალაქის, სტატუსი და მნიშვნელობა ოდნავ დააკნინა, თუმცა ეს შენი ბრალი არაა.***

მერედა რა, რომ კომუნისტების დროინდელია ეს ლოზუნგი, დიახ, სამტრედია იყო, არის და უეჭველად იქნება ძმობისა და მეგობრობის ქალაქი.

დიდია წვლილი, ქალაქის განვითარებაში რომ შეიტანეს ქართველიშვილების, გელეიშვილების, რევიშვილების, ჯანელიძეების... გვარების წარმომადგენლებმა.

სწორედ მათი შთამომავალნი სახლობდნენ ყველაზე ჭარბად ქალაქის ტერიტორიაზე და პირველ, ძირძველ სამტრედიელებადაც ამიტომ სახელდებიან ისინი.

შენს დიდებას თავდაუზოგავი შრომით ქმნიდნენ ძველი რკინიგზელები.

ერთ-ერთი პირველი საწარმოების, სალოკომოტივო და სავაგონო დეპოების უფროსები: ტატიშვილი, კვანტრიშვილი, კაჭახიძე, შალვა გოგავა, ბიჭიკო არველაძე, ბორის კოპალეიშვილი, კოტე კაცაძე, ლავრენტი ცანავა, სიმონ ჩორგოლეიშვილი, არჩილ რევიშვილი და სხვები.

ვახტანგ სტურუა, ზურაბ გელეიშვილი, რევაზ ელიაშვილი, ჯუმბერ ქორიძე, გიორგი სტურუა, ეს მცირე ჯგუფია იმ რკინიგზელებისა, სამტრედიას რომ შორს გაუთქვეს სახელი მუხლჩაუდგამი შრომით.




სამტრედიის მუნიციპალიტეტის გერბი

დრო მიდიოდა. ქოხები ოდებმა, ისინი კი მრავალსართულიანმა საცხოვრებელმა კორპუსებმა შეცვალეს.

არც ბაყაყების ყიყინი ისმის შუაგული ქალაქიდან და არც მალარია-დიფტერიის გავრცელების საშიშროებაა.

დროის ამ არცთუ დიდ მონაკვეთში შენს მაჯისცემას იყვნენ მიყურადებულნი ქალაქისა და რაიონის ღირსეული თავკაცები, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ შენი ძლიერებისა და აყვავებისათვის, ზრდა-განვითარებისათვის, თუმცა, ისეთებიც გამოჩნდნენ საკუთარი თავის და ოჯახის კეთილდღეობა რომ ამჯობინეს, შენზე მეტად პირად ''მეზე'' რომ ბრწყინვალედ იზრუნეს.

ინტერნაციონალური ხარ ჩემო ქალაქო, განა როდესმე გაგირჩევია ქართველთაგან შენი ძირეული მკვიდრი ბერძენი, სიტმალიდები, კონსტანტინიდები, პოლონელი დეშჩები, ვოიტკევიჩები, ებრაელი თეთრუაშვილები, მირილაშვილები, ბათაშვილები, რუსები, უკრაინელები?!. ქართველებზე ნაკლებ როდი უყვარხარ მათ, ქართველებზე ნაკლებ როდი სამტრედიელობენ ისინი.

ბევრჯერ ბევრი შეიცვალა.

ბოქაული, რაიკომის მდივანმა, რაიკომის მდივნები გამგებლებმა, გამგებლები, მერმა შეცვალა.

ყველა იმდენს აკეთებდა და აკეთებს შენი კეთილდღეობისათვის რამდენიც შეუძლია, რის საშუალებასაც აძლევს მათ ქვეყანაში არსებული ვითარება.

ნამდვილად გაქვს საამაყო, რომ შენს ქუჩებში ამაყად დააბიჯებდნენ ღირსეული სამტრედიელები, პედაგოგები: ანდრო კანდელაკი, ვალერიანე თევზაძე, შუშანა ქართველიშვილი, შალვა ჩიხლაძე, დავით ჩხეიძე, ტატიანა გეგუჩაძე, ნონა ნაცვლიშვილი, ლამარა შენგელია... ღვაწლმოსილი ექიმები: ბიძინა ჯაში, პროკლე, თორნიკე მილორავები, გენო გეგეშიძე, ნელი დადიანი, თემურ მშვიდობაძე, ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები, ოთარ შანიძე, ანზორ გრიგოლია, სოსო ხაჟალია. შენს მზეს, განახლებას უმღეროდნენ პოეტები: ანდრო თევზაძე, ალექსანდრე შანიძე, ნოდარ ადეიშვილი, გრიგოლ ჯულუხიძე.

განა, შეიძლება დავიწყებულ იქნას ქართველებისა და კულაშელი ებრაელების ურთიერთობა? ჰოდა, არც ებრაელები, არც ქართველები როდი ვივიწყებთ აქ, სამტრედიაში ერთად ცხოვრების განუმეორებელ წლებს.

რთული პერიოდი ბევრჯერ გამოიარე ჩემო ქალაქო, პირველი მსოფლიო ომი, 1917 წლის რევოლუციის ქარიშხალი, მეორე მსოფლიო ომი, სამაჩაბლოსა და აფხაზეთშიც გმირულად იბრძოდნენ სამტრედიელები და 2008 წლის აგვისტოშიც საკადრისი მიუზღეს მტერს, გმირულად დაიღუპნენ აგრესორებთან ბრძოლაში ღირსეული სამტრედიელები.

ქალაქის შუაგულში ხსოვნის მემორიალზე აღიბეჭდა მათი გვარ-სახელები. განა ომში ჩადიან მხოლოდ გმირობას? ვამაყობთ ირაკლი ქუთათელაძის სახელით, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად მტკვარს გამოსტაცა სიკვდილისთვის განწირული ქართველი.

ლამაზ წარსულს ლამაზი აწმყო ამშვენებს.

მორწმუნე მრევლთან ერთად ტაძრებიც მომრავლდა, შენს ქუჩებში სანთელ-საკმევლის სურნელს საამოდ ერწყმის ზარის გუგუნი.

გვახარებს ჩვენს ქალაქში კრძალვით რომ დააბიჯებენ ღირსეული სამტრედიელები, ამაგდარი ადამიანები: ზაირა გრიგოლია, მაყვალა კანდელაკი, ლუარა კახიანი, ნათელა გელეიშვილი, ნანა ცირეკიძე, მაყვალა ჩირგაძე, რაულ ხუჭუა, ბორის კახიანი, თამაზ ჟორდანია, გურამ მშვიდობაძე, ვაჟა ტერელაძე... ბევრნი, ძალზე ბევრნი არიან ისინი.

არ შეიძლება, არ ვახსენოთ ქალბატონები, რომელთაც აწ უკვე გარდაცვლილ თამარ ისერგიშვილთან ერთად, ტკბილად გიმღერეს შენს ჰიმნად ქცეული სტრიქონები. ეს ქალბატონები არიან ბადრი რობაქიძე და ცისანა ნიკურაძე.

ვამაყობთ საფრანგეთში მოღვაწე მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული ბაჩანა ჩაბრაძის, შესანიშნავი დასტაქრის, ჯანელიძეთა გვარის ღირსეული წარმომადგენლის, მერაბ ჯანელიძის, საერთაშორისო ასპარეზზე ცნობილი მოჭადრაკეების, სოფიკო ტერელაძის, მერი არაბიძის, დავით ჯოჯუას, უნიჭიერესი მხატვარ-კარიკატურისტისა და კრეატიული ახალგაზრდის, შოთა პაპავას, სამტრედიელობით.

გული ბევრჯერ გატკინეს ჩემო ქალაქო.

ქუჩებსაც ხშირად გინაგვიანებენ და შენ გაშლილ გულზე მავალ ღელე-მდინარეებსაც.

აქა-იქ უფლებებით გულმიცემული ჯიბესქელი პატრიოტები წლებით ნაზარდ ხე-მცენარეებსაც უპრობლემოდ ანარცხებენ დედამიწას, მაგრამ არაფერია, შენ მაინც დგახარ ამაყად, მტკიცედ და მხარს უბამ ძველისძველ ხონს, ვანს, ქუთაისს...

...

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ სხვები უკეთ იტყვიან უთუოდ.

ივლისში შენი დაბადების დღეა, ჩემო ქალაქო.

გილოცავთ!

# ''ორუდილას'' საზაფხულო მუსიკალური პროექტი

ნათია ნაცვლიშვილი

***გარეთ ივნისის ხვატი მძლავრობდა და სუნთქვას ახშობდა, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დარბაზში კი პატარების ტკბილხმოვანი ჰანგები იზიდავდა პუბლიკას. ''ორუდილელთა'' ''ზმათა ხავერდები'' სიცხისგან გამოწვეულ სირთულეს ფანტავდა და ჭეშმარიტ ხელოვნებას აზიარებდა მსმენელს. ანსამბლის სოლიდურობასა და წარმატებას ხელმძღვანელის, კომპოზიტორ ნონა ჭახნაკიას პროფესიონალიზმი და ანსამბლის წევრების თავდადება ქმნის. მუსიკალური გემოვნების მქონე, ნიჭიერ ხელოვანთა თაობები აღზარდა და დააფრთიანა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ანსამბლმა ''ორუდილამ''. უამრავი გასტროლი ჰქონიათ, ბევრი პრიზი და სიგელი ინახება მათ არქივში, უამრავი შემოქმედებითი საღამო თუ კონცერტი აჩუქეს საყვარელ მუნიციპალიტეტს და კიდევ ძალიან ბევრი წარმატება ელოდებათ წინ ამ თვალხატულა გოგო-ბიჭებს, რომელნიც ახლა საზაფხულო პროექტით '' მზე, ზაფხული, სიმღერა და სიხარული'' წარსდგნენ პუბლიკის წინაშე.***

კონცერტის კონფერანსიეს მისია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტის წევრებმა ლუკა ტუღუშმა და დადა ახობაძემ იტვირთეს და შესანიშნავად გაართვეს თავი. როგორც მათ გვითხრეს, ანსამბლ ''ორუდილას'' მიზანია, სამზეოზე გამოიტანონ მივიწყებული და ახალი, მარგალიტებივით მიმოფანტული ქართული და უცხოური მელოდიები.

არც ამ საზაფხულო კონცერტზე უღალატეს ტრადიციას ''ორუდილელებმა''. ჯერ ''ნეკოდენები'' წარსდგნენ პუბლიკის წინეშე თავისი საოცრად ლამაზი რეპერტუარით. ამ პატარებმა ყველა მუსიკალური ნომერი შესანიშნავი ქორეოგრაფიული კომპოზიციების თანხლებით წარმოადგინეს. ამაში მათ ქორეოგრაფი ნანა ბებია დაეხმარა.









უფროსი თაობის ''ორუდილელებმა'' შეასრულეს შესანიშნავი ქართველი კომპოზიტორების გიორგი ცაბაძის, რუსუდან სებისკვერაძის, ნუნუ გაბუნიას, ასევე, რუსა მორჩილაძის სიმღერები, 60-იანი წლების ამერიკაშიც გვამოგზაურეს, შეასრულეს სიმღერები რიკი ე პოვერის და მირეი მატიეს რეპერტუარიდანაც. ასევე შეასრულეს ანსამბლის მუსიკალური ხელმძღვანელის, მათივე პედაგოგის, კომპოზიტორ ნონა ჭახნაკიას სიმღერები. ბავშვებმა აპლოდისმენტები დაიმსახურეს, უამრავი თაიგული უძღვნეს გულშემატკივრებმა ''ორუდილელებს'', ძალიან ლამაზი საღამოს დასასრულს, წამყვანებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს შემოქმედ ქალბატონს, ნონა ჭახნაკიას, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს, ტატა გოგუაძეს, ''ორუდილას'' სამხატვრო ხელმძღვანელს, ელიკო ანცვაბს, ნანა ბებიას, საინტერესო ღონისძიებათა ორგანიზატორს, ნატა ჯიქიას. ''ორუდილელები'' მომავალ კონცერტამდე დაგვემშვიდობნენ. მალე ისინი ახალი ენერგიით აღვსილნი დაგვიბრუნდებიან.

# "რა ფერთა რიალია"

ნათია ნაცვლიშვილი

***სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ყოველწლიურ გამოფენას დამთვალიერებელი და დადებითად შემფასებელი არასოდეს აკლდა. ამჯერად 18-მა მოსწავლემ დაასრულა სკოლა და სხვადასხვა ჟანრში შესრულებული მათი ნამუშევრები სამხატვრო სკოლის ფოიეში საზეიმოდ გამოიფინა.***

სკოლაში შემდეგი დისციპლინები ისწავლება: ხატვა, ფერწერა, ფერთამცოდნეობა, დიზაინი-მოდელირება, ხატწერა, კომპოზიცია, გამოყენებითი ხელოვნება, ქანდაკება, ძერწვა და ხელოვნების ისტორია. ვიდრე ამ შესანიშნავ და ნიჭიერ ბავშვებს დაასაჩუქრებდა და დიპლომებს გადასცემდა, სამხატვრო სკოლის დირექტორმა ნინო ნინუამ შეკრებილთ მიმართა:



"ძალიან დიდი მადლობა, რომ მობრძანდით ჩვენთან ამ თაკარა მზეში, წარმოდგენილია სკოლის როგორც კურსდამთავრებულთა, ისე მეხუთეკურსელთა ნამუშევრები. მეექვსეკურსელები გვემშვიდობებიან, ვიმედოვნებთ, რომელიმე მათგანი მოინდომებს, მიიღოს ამ სფეროში განათლება და თავადვე დაგვპატიჟებს პერსონალურ გამოფენაზე! ამ სკოლაში 9 დისციპლინა ისწავლება, დღეს ბავშვებმა 8 დისციპლინაში წარმოადგინეს ამ ასაკის ბავშვებისათვის საკმაოდ სერიოზული ნამუშევრები, ამ კედლებში ვფიქრობ, ბავშვებმა საუკეთესო წლები გაატარეს, თითოეულ მათგანს, მინდა ხელოვნების საინტერესო სამყაროში დავულოცო გზა, მადლობა ჩემს ძვირფას პედაგოგებს, ასე რომ იხარჯებიან, მადლობა მშობლებს. მინდა, სტუმრების წინაშე ერთი სასიამოვნო ამბავი გავახმიანო: წლეულს სამების საკათედრო ტაძარში ჩატარდა კონკურს-ფესტივალი, ამ ფესტივალში მონაწილე ჩვენი ბავშვებიდან 13 მოსწავლე შეირჩა, რომელთაც შეეძლოთ თურქეთის ქალაქ ურგუფში გამართულ გამოფენა-ფესტივალში "კაპადოკია 2018" მიეღოთ მონაწილეობა და თავიანთი ნამუშევრები გამოეფინათ. ჩვენს ბავშვებს მიეცათ საშუალება, გასულიყვნენ საზღვარს გარეთ და გაეფართოვებინათ თვალსაწიერი. მათ განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად. მათ სპონტანურად კონცერტიც ჩაატარეს ხალხური საკრავი ინსტრუმენტების თანხლებით. თურქეთის ქალაქ ურგუფის მერიამ ისინი განსაკუთრებულად დააჯილდოვა, ჯილდოვდება სკოლის წამყვანი სპეციალისტი სასწავლო-აღმზრდელობით დარგში იაგო ჩხიკვაძე, რომელიც თან ახლდა ჩვენს მოსწავლეებს."

იაგო ჩხიკვაძე: "ძალიან კარგია, რომ სამხატვრო სკოლამ წელს პირველად მოახერხა საზღვარგარეთ გასვლა და ჩამოვიდა სიგელებით დატვირთული. ეს იყო წმინდა ნიკოლოზის ხსენებისა და ბავშვთა დაცვის დღე, ჩვენი ბავშვების ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს, მინდა მეტი ასპარეზი და მეტი წარმატება ვუსურვო ამ ბავშვებს!"





მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე: "ჩვენი სამხატვრო სკოლა ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზეა, ამ ბავშვების ნახატების თვალიერება დიდ ესთეტიურ სიამოვნებას გვანიჭებს, განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო, შთამბეჭდავი იყო ამ ბავშვების მიწვევა კაპადოკიაში, სამტრედიის სახელი უკვე თურქეთშიც გაიტანეს და გვასახელეს, დიდი მადლობა პედაგოგიურ კოლექტივს, დარწმუნებული ვარ, მომავალ წლებში ამ ბავშვებიდან ბევრი კარგი მხატვარი გაიზრდება".

ახალგაზრდებს მიესალმა სამტრედიის კოლორიტი ქალბატონი ნათელა გელეიშვილი: "დიდი მადლობა მოწვევისთვის, იმისათვის, რაც აქ ვნახეთ. დღევანდელ დღეს აქ რომ იყოს ჩვენი აღიარებული, 80 წლის პოეტი, ზოია ვაშაკიძე, ალბათ, იტყოდა: რა ფერთა რიალია! როცა იწყება ახალი საქმე, მას ყოველთვის სჭირდება მხარდაჭერა. წლების წინ ამ შენობაში სამხატვრო სკოლის განთავსება გადაწყდა და ეს საქმე დღეს წარმატებულად გრძელდება! დარწმუნებული ვარ, ეს ბავშვები სულიერად მაღალნი იქნებიან, თუ ყველა მათგანი დიდი მხატვარი არ გამოვა, ყველა სულით ხელოვანი იქნება, ისინი ხელოვნების ნიმუშის ამღქმელნი და საუკეთესო შემფასებელნი მაინც იქნებიან. მადლობა ქალბატონ ნინო ნინუას და ყველა პედაგოგს, ასეთი რუდუნებით რომ ზრდიან მომავალ თაობას."

მხატვარი დავით მორგოშია წლებია ისე შეესისხლხორცა სამტრედიას, წარმოუდგენელიც კია, არ დაესწროს ნორჩების გამოფენას სამხატვრო სკოლაში. ბატონი დავითი წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მომხატველია. დავით მორგოშია: "პირველ რიგში, ვულოცავ დღევანდელ დღეს დაჯილდოვებულ მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს. აქ წარმოდგენილ ნამუშევრებში ვპოულობ იმას, რაც იწვევს აღფრთოვანებას, დაინტერესებას, მინდა მივუთითო მათ, თუ რა არის კარგი, რა ცუდი. ადამიანის პიროვნების ფორმირებაში მხატვრობას უდიდესი როლი ენიჭება, მაგრამ, უპირველესი ამქვეყნად მაინც არის ის, რომ ვიყოთ ადამიანები, გვიყვარდეს ერთმანეთი, თუ ეს სიყვარული არ გექნათ, ცარიელი, უსულო ნამუშევარი არავის სჭირდება. ყველას დიდ წარმატებას გისურვებთ, ვისწავლოთ მოსმენა, სხვისგანაც ისწავლეთ და ეძიეთ თქვენი ნატვრისთვალი!"

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის მოადგილე ელიკო ანკვაბი: "ბედნიერები ვართ და მადლობას გიხდით იმისთვის, რომ არსებობთ! რომ აზიარებთ ჩვენს მომავალ თაობას სულიერებას და კეთილშობილებას, რაც მომავალში უდავოდ მათ ზნეობაზე აისახება. თქვენ მადლობა, რომ ყველაფერი ჩადეთ ამ პატარა გოგო-ბიჭებში, ღმერთმა ქნას, თქვენი ღირსეული ადგილი დაიმკვიდროთ ბავშვებო, მომავალში".

რუსა ადეიშვილის ბებია, სვეტა პაპავა: "რუსამ სკოლა დაამთავრა, ძალიან კმაყოფილი ვარ ამ პედაგოგების, რომ ასე კარგად აზიარეს ჩვენი შვილები ხელოვნებას".

გიორგი ბოჭორიძე, მიხეილ ბოჭორიძის მამა: "ძალიან კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა პედაგოგებს, რომლებიც გულისხმიერნი და კვალიფიციურნი არიან. ჩემმა შვილმა ძალიან ბევრი რამ ისწავლა მათგან, გაიზარდა, გემოვნება ჩამოუყალიბდა, რომ ვიხსენებ წინა წლებში როგორი იყო, შედარება არ შეიძლება. მეტიც, მიხეილმა თავის მეგობრებსაც მოანდომებინა ხატვა."

# "ხარობდეს საქართველოი, ხონთქარი დაუმარცხოსო"

ნათია ნაცვლიშვილი

***შეკვეთილის "მუსიკალური წალკოტის" ბინადარ ბუმბერაზ მომღერალთა ხმებს "ალილოსა" და "ჩანგის" პატარა მომღერლების ხმებიც შეერია. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორული განყოფილების ამ ანსამბლების ხელმძღვანელებმა, ქალბატონებმა მადონა კოხრეიძემ და მერი ტკვაცირიამ საუკეთესო ტრადიცია დაამკვიდრეს_ შემაჯამებელი კონცერტები ყოველთვის ბუნების წიაღში, საქართველოს რომელიმე კუთხეში იმართება. წლევანდელი ლოკაცია გურია, შეკვეთილის მუსიკალური პარკია. პარკი, რომელიც ქართული კულტურის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს.***

ასწლოვანი ევკალიპტების სიმყუდროვეში დგას ბულგარეთში დამზადებული ქართველ და უცხოელ შემოქმედთა სკულპტურები, რომლებთან მიახლოვებისას კონკრეტული კომპოზიტორის თუ მუსიკოს-შემსრულებლის ცნობილი კომპოზიცია ისმის.

ვოკალურ ანსამბლ "ალილოსა" და ინსტრუმენტულ ანსამბლ "ჩანგის" წევრებმა პარკის შესასვლელშივე გამართეს კონცერტი. მნახველებიც მიიზიდეს და უცხოთა აპლოდისმენტებიც მრავლად დაიმსახურეს. ღონისძიება "იმერული პოპურით" გაიხსნა. მას "იმერული მგზავრული" მოჰყვა. ასევე შეასრულეს "კალთაში ჩაგიგორდები" და "ბულბულს სტვენა". ანსამბლის წევრებმა მიზანი სრულიად გაამართლეს _ საქართველოს ყველა კუთხეში გვამოგზაურეს მუსიკალურ-ფოლკლორული მარგალიტებით. ხევსურეთში მელაურის საჯარო სკოლის მოსწავლე, პატარა ნინო მოსიძე, "შეგვიძლვა" სოლო სიმღერით "არხოტის ცასავით ლურჯი გაქვს თვალები", "ფშაური ნანა" და "სვანური ნანა" "ჩანგის" უფროსმა თაობამ შეგვისრულა. მეგრული "ცხენის წყალი", კახური სატრფიალო "ნეტაი გოგო", ლეჩხუმური "ნინუ ნინუ" ქართლური "არაგვისპირული", აჭარული "პოპური", "ჰიდაი ნანო" ერთურთს ულამაზესად შეერწყა და ქართული ერთობა-განუყოფლობის ჰიმნი დააგუგუნა. შემთხვევით არც "ჩონგური საქართველოა" უმღერიათ პატარებს. ლადო ასათიანის შესანიშნავ სტროფებზე აჟღერებული "რა ქართველი



ხარ და რა ჭაბუკი" განსაკუთრებულად ემოციური აღმოჩნდა და არაერთ მსმენელს მოჰგვარა ცრემლი.

სადაც მრავალხმიანი ქართული სიმღერაა, იქ ქართული ლექსიც უნდა გაისმას! სად, თუ არა გურიაში და სად, თუ არა ულამაზეს ბუნების წიაღში უნდა თქმულიყო გალაკტიონის "გურიის მთებს". ჩვენს სპონტანურ მოწოდებას მეთერთმეტე საჯარო სკოლის მოსწავლე ლელუკა ცხვარაძე გამოეხმაურა და ბრწყინვალედ წაიკითხა მეფე-პოეტის ეს შედევრი. შეკრებილთ მეთერთმეტე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მაია ლორიაც მიესალმა, რომელიც იქ მშობლის ამპლუაში იმყოფებოდა. მაია ლორია: "მინდა, მშობლების სახელით დიდი მადლობა გითხრათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ანსამბლების "ალილოსა" და "ჩანგის" პედაგოგებს, რადგან ასე ღირსეულად და ერთგულად ახორციელებთ მთავარ მიზანს _ ქართული ცნობიერების გაღრმავებას, ეს ყოველივე ქართულის შენახვასა და გადარჩენას ემსახურება! ვფიქრობ, ჩვენი ეროვნული იდენტობა სამ ძირითად ფენომენში ცნაურდება: ქართულ მწერლობაში, სიმღერასა და ხუროთმოძღვრებაში. თურმე ანგელოზები რომ გალობდნენ, მღეროდნენ კოსმოსის ენაზე, თქვენც იმეორებთ ამ კოსმიურ ხმას, ქართველი კაცი იბადებოდა და მღეროდა, უჭირდა თუ ულხინდა, მღეროდა, კვდებოდა ასევე სიმღერით! მადლობა, ბავშვებო თქვენი ამ შესანიშნავი



ხმებისთვის, საქართველოს ერთგულებისთვის, არ მინდა, წყალობა მოგაკლოთ უფალმა, სადაც წახვალთ, ყველგან ქართულად იმღერეთ და გადაარჩინეთ ქართული ცნობიერება! კოსმოსში გაგზავნილი სამი სიმღერიდან ერთ-ერთი ქართული "ჩაკრულოა", მიწაზეც და ცაშიც თქვენ გევალებათ ქართული სიმღერის, ამ უდიდესი საგანძურის დაცვა."

კონცერტის შემდეგ ყველა მოსწავლემ იქვე ახლოს მდებარე პარკში გადაინაცვლა, სადაც საქართველოს არქიტექტურული საგანძური _ კულტურულ-ისტორიული ძეგლები მინიატურებშია წარმოდგენილი. ამ პარკში პატარებმა კიდევ ერთი, საინტერესო საქართველო აღმოაჩინეს და სამშობლოს სხვადასხვა კუთხის თავისებური ხიბლი შეიცნეს.



# კითხვას: გვეშველება რამე? შეიძლება, დადებითი პასუხიც ჰქონდეს

(დასაწყისი გვ. 4

მაგალითი II: სოციალური დახმარებითაც იმიტომ უზრუნველყოფენ მოსახლეობას, რომ ამ დახმარების დიდი ნაწილი გადასახადებისა და საარსებოდ აუცილებელი ხარჯების სახით უკან უბრუნდება ქვეყნის ხაზინას. თან ამით სოციალურად უსაფრთხო გარემოს შექმნას უწყობენ ხელს.

ხოლო ჩვენთან სამუშაოდ ჩამოსული სხვა ქვეყნის მოქალაქეები, საინტერესოა, რა ბიზნეს-გეგმით იღებენ საგულისხმო მოგებას, რომელსაც საკუთარ ქვეყანაში აგზავნიან? იქნებ ეს ბიზნეს-გეგმა ჩვენც გამოგვეყენებინა საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ?.. თუ რამე კანონის დარღვევასთან არ გვაქვს საქმე!

თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე კაპიტალიზმმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები. "იგი იმდენად არის გაცვეთილი და ბოროტად წარმოჩენილი, რომ ნაციონალური განვითარების გზაზე მისი გამოყენების გონივრული არჩევანის საშუალება არ არსებობს. კაპიტალიზმის მოდელი ამოიწურა, ხოლო მისი გამეორება ცივილიზაციას სრულ კრახამდე მიიყვანს". _ წერდა ჯერ კიდევ წინა საუკუნეში აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალბ. გორი ("სასწორის თეფშზე"). სწორედ ამ მოსაზრების იგნორირების ფონზე განვითარდა, გაძლიერდა და ჩიხში შევიდა დღეს არსებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ხოლო "ევროპის დაისის" შესახებ ჯერ კიდევ წინა საუკუნეში იწინასწარმეტყველა ო. შპენგლერმა.

მხოლოდ მსუბუქად გატარებული მემარცხენე რეფორმების საშუალებით ინარჩუნებენ დღემდე თავს ეს ქვეყნები. ისიც ცნობილია, რომ ჩინეთის ეკონომიკური განვითარების ინდექსი კარგა ხანია უსწრებს ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისა და აშშ-ის ეკონომიკური განვითარების ინდექსს.

ხოლო ჩვენი სისტემის მთავარი მონაპოვრის _ ხმაურიანად მიმდინარე მიტინგების ფონზე მახსენდება ხოსე ორტეგა ი გასეტი (ევროპული ინტელექტუალიზმის ერთ-ერთი ბურჯი): "საშუალო ადამიანს სავსებით გარკვეული აზრი გაუჩნდა იმის თაობაზე, რაც ხდება და ან არ უნდა მოხდეს მსოფლიოში. მისმა სმენის ორგანომ ატროფირება განიცადა, რატომ უნდა უსმინოს სხვებს, თუკი თავად ყველაფერი იცის?! არამც და არამც, აბსურდულია იდეებსა და აზრებზე ილაპარაკო იქ, სადაც არ ცნობენ არც ერთ მარეგულირებელ ავტორიტეტს, შეუძლებელია კულტურის არსებობა და გამოსავლის პოვნა იქ, სადაც პატივს არ სცემენ ინტელექტუალური ავტორიტეტის მქონე პოზიციას, რომლისთვისაც შეიძლებოდა მიგვემართა დავისას, როგორც არგუმენტისთვის" ("მასათა ამბოხი"). სამწუხაროდ, დღეს ძალიან ძნელია, ვიპოვოთ ასეთი ავტორიტეტი, ყველას ტალახი ესროლეს, სამართლიანად თუ უსამართლოდ!

ამ მიტინგით დაკავებულ ადამიანებს კი მინდა შევახსენო: არ შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ დათოსა და ლევანის მკვლელობა გირგვლიანის, რობაქიძისა და სხვათა მკვლელობას. დათო და ლევანი პირადი კონფლიქტის გამო თანატოლებმა მოკლეს. გირგვლიანის, რობაქიძისა და მრავალ სხვათა მკვლელობაში მაშინდელი ხელისუფლება მონაწილეობდა უშუალოდ! და რაოდენ აბსურდულია ის ფაქტი, რომ მომიტინგეები, სწორედ იმ ხელისუფლების მომხრეები, ითხოვენ ამ მთავრობის გადაყენებას, რათა ისევ ნაციონალები მოვიდნენ ხელისუფლებაში!

არადა, უმჯობესი იქნებოდა, ეს ახალგაზრდები თავიანთ თანატოლებს, მოწმეებს დალაპარაკებოდნენ და მკვლელის გამოაშკარავებაში მიეღოთ მონაწილეობა. პოლიტიკოსები კი ხელისუფლებას მოწმეთა დაცვაში დახმარებოდნენ. ამ გზით, არეულობის მაგივრად საქმე რეალურად გაკეთდებოდა. მაგრამ არავის სურს ან არ შეუძლია ამის გაკეთება. დღესაც დამოუკიდებლად ვერ ვიმართებით, მით უფრო, მსოფლიო კორუფციული სისტემა ნოყიერ ნიადაგს უქმნის დანოსურ მხილებებს. "ნაციონალური პარტია" არენაზეა, მათ კი გარკვეული მხარდაჭერა აქვთ დასავლეთიდან. მთავარი მოწმე, ერთ-ერთი მთავარი დაზარალებული და მოსამართლეც ყოფილი "ნაციონალები" არიან. მხოლოდ ბრალდების მხარე იყო "ოცნების" წევრი, ისიც სასამართლომ დაამარცხა და გადადგა. ძალიან საგულისხმო გარემოებაა! გარდა ამისა, ჩვენი ცხოვრების წესით, ძალიან მტრული, ნდობას მოკლებული დამოკიდებულებაა გამეფებული თითქმის ყველა სოციალურ ფენასა და ხელისუფალთა შორის. თითქოს ხელისუფლება მძევლად არის აყვანილი არასამთავროების, გარე თუ შინაური მტრების მიერ, რაც სიკეთეს ვერ მოგვიტანს.

ხელისუფლება გადადგა. დღის წესრიგში ისევ დადგა ახალი საგამოძიებო ჯგუფის შექმნა და უცხოელ სპეციალისტთა დახმარების მოლოდინი. ამ ყველაფერმა ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული გარდაცვალება გამახსენა და არა მხოლოდ ის... ასეთია ჩვენი აწმყოს მოკლე ანალიზი. ხოლო კითხვაზე _ გვეშველება რამე? _ საჭიროა, განვიხილოთ, რა წარსულიდან მოვდივართ, რა გზა გამოვიარეთ და რატომ გავემიჯნეთ ჩვენს არც თუ შორეულ ფესვებს:

ამიტომ პასუხი შორიდან უნდა დავიწყოთ!

თუნდაც იქიდან, რომ 26 მაისს 100 წლის იუბილე ვიზეიმეთ ჩვენი პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსებიდან, რომელმაც რუსეთის გამოისობით, სულ რაღაც 3 წელი გასტანა. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ახლა ვართ ფაქტობრივად დამოუკიდებლები, რადგან დამნაშავე დამოუკიდებლად ვერ დაგვისჯია, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც დამოუკიდებლად ვერ მიგვიღია და ა. შ.

დიახ, 100 წლის წინ კი არა, დღესაც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას ის ქვეყანა წარმართავს, ვისაც მეტი ძალა და ძალაუფლება აქვს ("ძალაუფლების მფლობელს ძალა არ შესწევს, ხელი აიღოს ძალმომრეობაზე" _ გოეთე). საუბედუროდ, კაცობრიობამ ეს აქსიომა, ჯერჯერობით, ვერ გადალახა. ეგრეთ წოდებული დონორი ქვეყნების მოთხოვნილებებით (იქნება ეს რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები თუ რომელიმე სხვა ქვეყანა) ძალიან ხშირად ილახება მათზე დაქვემდებარებული ქვეყნების ინტერესები. უპირატესობა და წარმატებაც ყოველთვის ძლიერის მხარესაა. და საერთოდ, მართლაც, ძნელი გასარკვევია, არის კი ვინმე ჩვენი მოყვარე?!

თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ სიყვარულითა და ვითომ მეგობრობის ხათრით სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა არ ხასიათდება. ასეთი ურთიერთობები მხოლოდ ინტერესთა თანხვედრით და ინტერესთა შორის არსებული კონფლიქტის გათვალისწინებით ყალიბდება. ეს არის დღევანდლამდე არსებული საყოველთაო რეალობა და ამიტომ ჩვენი გეგმებიც ამის შესაბამისად უნდა დავსახოთ!

მტრობასა და მეგობრობაზე სტრასბურგი მომაგონდა (ანდა რა მოგონება უნდოდა). სასამართლოში რამდენჯერმე გაიჟღერა, რომ საქართველოს მხარემ პირველმა დაიწყო აგვისტოს ომი. დავიჯეროთ, ჩვენმა ყოფილმა პრეზიდენტმა, მეგობარ დასავლეთთან შეთანხმების გარეშე დაიწყო იერიში" და თუ შეთანხმება შედგა, სად იყო მათი მეგობრული ხელი სანამ ნახევარი ქართლი არ დავკარგეთ და ლამის თბილისამდე მავთულხლართებში გავიხლართეთ პირდაპირი თუ არაპირდაპირი თვალსაზრისით?!

ამიტომ, არც ამ სასამართლოს იმედი მაქვს, რადგან, კიდეც რომ ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდეს რამე, აღსრულებისას თუ ისევ მარტონი ვიქნებით, შესაძლებელია, ისევ საომარ სიტუაციაში აღმოჩნდეს ქვეყანა! მით უფრო, თუ ნატოში გავწევრიანდებით და დასავლეთის სამხედრო პლაცდარმი ჩვენს ტერიტორიაზე განთავსდება... ფრთხილად, ქართველებო, ფრთხილად!

ამდენ დაბრალება-გადაბრალებას უმჯობესია, ჩვენი წარსული გავიხსენოთ და გავაანალიზოთ, თუ ვინმეს სხვა სათქმელი ექნება, დიდი სიამოვნებით მოვუსმენ, მხოლოდ ჩვენი მდგომარეობის სწორი ანალიზი დაიწყოს!

წესით, არ უნდა გაგიკვირდეთ, რუსეთის მდგომარეობის აღწერით რომ დავიწყებ ანალიზს, რადგან ჩვენი ქვეყნის მაშინდელი (და არა მხოლოდ მაშინდელი) ბედ-იღბალი პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა რუსეთის სახელმწიფოს განვითარებასთან, უფრო ზუსტად, "რუსეთის სუნთქვასთან", როგორც ამას ილია ჭავჭავაძე უწოდებდა.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ 100 წლის წინ, რომ არა რუსეთი, არც სხვა მეზობლები დაგვაკლებდნენ ხელს. არ დაგვავიწყდეს მაშინდელი ირანი, თურქეთი და სხვა მრავალი ფაქტორი!

სამწუხაროდ, მუსლიმანური სამყარო დღესაც სტარტზეა! თურქეთი რამდენიმე ხანია ცდილობს ჩვენს გადაყლაპვას, მართალია, ტაო-კლარჯეთი დიდი ხანია წაგვართვა, მაგრამ აჭარაზეც და მესხეთზეც თვალი უჭირავს. მაშინ რუსეთს რომ არ შევერთებოდით, თუ დავეპყარით (რაც გინდათ, ის დაარქვით), საკითხავია, ახლა სად ვიქნებოდით, რამდენი და რანაირი?! (გავიხსენეთ, როგორ გამოიყურებიან მუსლიმანური სამყაროს მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები!).

ისე კი, რუსეთში კაპიტალისტური წყობის დამყარება მხოლოდ 1861 წლიდან გახდა შესაძლებელი. ის მსოფლიოს წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე ახალგაზრდა კაპიტალისტურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მისი შესაძლებლობები ვერ სწვდებოდა მსოფლიოს კაპიტალისტური სამყაროს მოთხოვნილებებს და მის მთავარ მახასიათებელს _ კონკურენციას!

სწორედ ამიტომ წერდა ხოსე ორტეგა ი გასეტი ("მასათა ამბოხში"): "კაპიტალიზმმა გაიმარჯვა იქ, სადაც ამის საფუძველი არსებობდა, ხოლო დამარცხდა ყველაზე სუსტ რგოლში _ რუსეთში, სადაც ბოლშევიზმმა გაიმარჯვა". ამავე დროს, მაშინდელი რუსეთის წიაღში დაგროვილი უდიდესი ენერგია ვერ ეტეოდა იმ საზღვრებში, რომლებშიც მსოფლიო კაპიტალისტური სამყარო მას ათავსებდა. მაშინდელი რუსეთის პოტენციური ენერგიის საგულისხმო ნაწილს მსოფლიოში ყველაზე უფრო ძლიერი და მართვადი ძალა _ პროლეტარიატი წარმოადგენდა.

მისი სიძლიერე იმ ბრძოლებში გამოიხატებოდა, რომელსაც იგი ელემენტარულ, სასიცოცხლოდ აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აწარმოებდა, თან ამ ბრძოლების საპირწონედ დასაკარგი არაფერი გააჩნდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კაპიტალისტური სამყარო, ეგრეთ წოდებული, "წითელი ჭირისაგან" დასაცავად უამრავ მექანიზმს მიმართავდა: გააუმჯობესა მშრომელთა სოციალური მდგომარეობა, შეიქმნა ადამიანთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, რომელთა მოქმედება მანამდე არსებული სამართლიანობის პრინციპის დაცვით ხასიათდებოდა. იმპერიული სახელმწიფოები, ერთი მეორის მიყოლებით, ათავისუფლებდნენ თავიანთ კოლონიებს.

**ია საკანდელიძე**
**ექიმი, პუბლიცისტი**

(გაგრძელება იქნება)

ვისაც ლიტერატურა უყვარს

# "იურისტები პოეზიისთვისაც იცლიან"

ნათია ნაცვლიშვილი

*ჩვენს რუბრიკას "ვისაც ლიტერატურა უყვარს" ახალგაზრდა ნიჭიერი იურისტი სტუმრობს, თეონა კუბლაშვილი. დაბა კულაშის საჯარო სკოლის დასრულების შემდეგ დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და მიიპოვა სამართლის ბაკალავრის ხარისხი. თეონა ამჟამად შპს "ახალი ქსელების" ქუთაისის ფილიალში მუშაობს კადრებისა და საქმის წარმოების სპეციალისტად. მან სულ ახლახან ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები.*



**_ თეონა, სად უფრო მეტს კითხულობთ, წიგნში თუ კომპიუტერში?**

_ ვკითხულობ უმეტესად წიგნში, რადგან ჩემთვის ეს უფრო კომფორტულია. შემიძლია საინტერესო მონაკვეთების გახაზვა, მონიშვნა.

**_ ვიცი, რომ ოჯახში დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ, სადაც მრავალი ჟანრის ლიტერატურაა წარმოდგენილი. რომელი ჟანრისკენ უფრო მიგიწევთ გული? რამდენად შეიცვალა თქვენი ლიტერატურული გემოვნება?**

_ ძირითადად ისტორიულ რომანებს ვკითხულობ, სკოლის და სტუდენტობის პერიოდიდან დღემდე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ჩემი გემოვნება. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ არც სკოლის და არც სტუდენტობის პერიოდში არ დავინტერესებულვარ თურქი მწერლების შემოქმედებით და გასული წლიდან აქტიურად ვკითხულობ მათ ნაწარმოებებს. გამოვყოფ ელიფ შაფაქის რომანებს "ევას სამი ქალიშვილი", "ღირსება" და "სიყვარულის 40 წესი". ამ ნაწარმოებებში უხვადაა აღმოსავლური სიბრძნე.

**_ მხატვრული ლიტერატურა გიყვართ? დაგვისახელე როგორც ქართველი, ისე უცხოელი საყვარელი ავტორები...**

_ ქართველი მწერლებიდან გამოვყოფ გენიალურ ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილს, არა მგონია, ვაჟას ნაწარმოებების ანალოგი არსებობდეს მსოფლიოში. ჩემთვის ასევე ძალიან ძვირფასია გოდერძი ჩოხელი. უცხოელებიდან კი გამოვყოფდი ლევ ტოლსტოის და განსაკუთრებულად საყვარელ თეოდორ დოსტოევსკის, რომელმაც ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ვფიქრობ, ის ყველა დროის საუკეთესო ნაწარმოებების შემქმნელია, წამიკითხავს დოსტოევსკის ნაწარმოებები მეორედ და უფრო დიდი სიამოვნება მიმიღია, ვიდრე პირველი წაკითხვისას. რადგან თავიდან ცოტა რთული მეჩვენა მისი შემოქმედება.

**_ იურისტების სამაგიდო წიგნები ძირითადად კანონები და კოდექსებია, ისინი პოეზიისათვის იცლიან?**

_ დიახ, იურისტები პოეზიისათვის იცლიან, ეს აუცილებელიც კია. ჩემი საყვარელი პოეტები მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე და ოთარ ჭილაძე არიან. ჭილაძის შემოქმედება ჩემთვის ძალიან ახლობელია, შთამბეჭდავია მისი პოემა "დევებით სავსე ქუდი". ასევე მომწონს ლექსი "გარეთ ისევ წვიმს".... ჩემს ტელეფონშიც მაქვს და ხშირად ვკითხულობ მის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსს: "ვიდრე ხარ, ვიდრე გათოვს და გაწვიმს, არ წარიკვეთო არასდროს სასო, ხან ოცდაათი ვერცხლი ღირს კაცი, ხან ოცდაათი _ ერთ ვერცხლად ფასობს...". ეს ლექსი შინაარსობრივად განსაკუთრებულად ძვირფასია. კანონებსა და კოდექსებზე ჩემს გადამეტებულ სიყვარულზე სასუბროდ დრო არ მეყოფა. იურისტობა ჩემი ბავშვობისდროინდელი სურვილი იყო.

**_ ამბობენ, რომ წიგნთან დაშორებამ საზოგადოება გულცივი და დაუნდობელი გახადა, ხალხი მატერიაზე, ყოველდღიურ საზრუნავზე გადაერთო და მაღალი იდეალები ფეხქვეშ გაითელა. რა უნდა გავაკეთოთ წიგნს რომ დავუახლოვდეთ?**

_ წიგნთან ურთიერთობა აუცილებელია. განათლების დეფიციტი მძიმე შედეგებს იწვევს, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჩემი თაობა და უფრო პატარებიც ნაკლებად კითხულობენ, "ბიბლუსში" წიგნების შესაძენად შესულს ძალიან ბევრი ჩემი თანატოლი და არა მარტო თანატოლი მხვდება და ზოგჯერ მათ რეკომენდაციებსაც ვიზიარებ, თუ რომელი წიგნი შევიძინო. ჩემი აზრით, ახალგაზრდობა არის ბევრად უფრო დახვეწილი, მოქნილი, განვითარებული, ლოიალური და ჰუმანური. ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ისინი უწიგნურები არიან. წიგნის სიყვარული ბავშვს უნდა ჩაუნერგონ ოჯახში და ასაკის შესაბამისი ლიტერატურა მიაწოდონ. ოჯახის წევრებმა უნდა მისცენ მას სწორი მიმართულება და რამდენადაც ნაკითხი და განათლებული იქნება, უფრო მეტ სარგებელს მოუტანს საზოგადოებას, ქვეყანას. განათლება ეხმარება ადამიანს საკუთარი თავის პოვნაში, სრულყოფაში, კეთილშობილური თვისებების აღმოჩენა-ჩამოყალიბებაში.

**_ გიჩუქნიათ მეგობრებისათვის წიგნები?**

_ რა თქმა უნდა, მიჩუქნია, წიგნები, რომლებიც მე მომწონს და შემდეგ ერთად გვიმსჯელია, დეტალებზე გვიკამათია. გაგვირჩევია ესა თუ ის ნაწარმოები.

**_ ამჯერად რას კითხულობთ?**

_ ორჰან ფამუქის რომანს "მე წითელი მქვია".

**_ ყველაზე დიდი თანხა რამდენი გადაგიხდიათ წიგნში?**

_ ზუსტად ვერ ვიხსენებ, მაგრამ წიგნში ფულის მიცემა რომ არ მენანება, ნამდვილად შემიძლია გითხრათ.

**_ უკაცრიელ კუნძულზე რა წიგნს წაიღებდით?**

_ ალბათ, გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებს და ოთარ ჭილაძის ლექსებს.

# "მე მაცვია მანია!"



**ქეთევან ქელიძე**

***ის საღამო სამტრედიაში აქამდე გამართულ არც ერთ საღამოს არ ჰგავდა. დიზაინერმა მანია ვაშაკიძემ თავის მიერ შექმნილი ტანსაცმლის ჩვენებაზე მიიწვია საზოგადოება. ყველაფერი ისე იყო, როგორც მაღალი დონის დეფილეს შეეფერება: მუსიკა, განათება, მოდელები, ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, არც შემფასებლები აკლდა და არც ტაში.***

***სლოგანი "მე მაცვია მანია" არაერთხელ აიტაცა დარბაზმა და არც მარტო სლოგანი! იმ დღეს მართლაც ეცვათ ქალბატონებს დიზაინერ მანიას მიერ შეკერილი კაბები. "სენატში" გამართულ პრეტაპორტეზე ერთი რომელიმე კოლექცია არ წარმოუდგენიათ. 16 მოდელმა სხვადასხვა ხასიათის, გემოვნებისა და აღნაგობის ადამიანებზე გათვლილი კლასიკური, თანამედროვე და ავანგარდული სამოსი წარმოადგინა.***

ჩვენება წარმატებული გამოდგა. დიზაინერის ფანტაზიით შექმნილმა ტანსაცმელმა მოწონება დაიმსახურა. ემოციების პიკი სალომე ვაშაკიძის მიერ წარდგენილი მთავარი კაბა იყო. ქალბატონი მანიას გვერდით მისი შვილები, დიზაინერები ია და მარი გაგუები იდგნენ. იამ საღამოს წამყვანის ფუნქცია ივისრა, ხოლო მარი წარმატებული ყოფილი მოდელი და პირველი "მის იმერეთი", დასთან ერთად ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო.



"ძალიან სასიამოვნო საღამოა", _ გვეუბნება ნატა ჯიქია, _ "მანია მართლაც უნიჭიერესია და ბევრ საინტერესო თემას ქმნის დღევანდელობისთვის. ჩემი ჯვრისწერის კაბა მანიას შევაკერინე და ახლა სწორედ ის მაცვია. ვულოცავ ქალბატონ მანიას ამ ჩვენებას და ბევრ წარმატებას ვუსურვებ".

"ძალიან მომეწონა წარმოდგენილი სამოსი, მანია ისეთი შრომისმოყვარეა, ისეთი სიკეთით სავსე ადამიანი, ზუსტად ასეთ ჩვენებას ველოდი. წარმატებებს ვუსურვებ მას. უკვე რამდენიმე კაბა შევარჩიე. როცა მაღაზიას გახსნის, აუცილებლად ვესტუმრები და შევიძენ". _ განწყობას გვიზიარებს ხათუნა მჟავია.

წარმატებები მანია ვაშაკიძეს ტატა გოგუაძემაც უსურვა.



მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მანია მათი სახლის დიზაინერია. "ყველა ჩვენი ღონისძიების მონაწილეების შემმოსავი. დიდი მადლობა ამ ყველაფრისთვის."

საღამოს დადებითი შეფასება მანანა მსხილაძემაც მისცა. დასძინა: "მანიას შეკერილი კაბები მაცვია და სურვილი გამიჩნდა, კიდევ შევიძინო".

"აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი დღით. ბევრი რამის შეძენის სურვილი გამიჩნდა". _ წარმატებები ნინო მაღლაკელიძემაც უსურვა დიზაინერს.

წლების მანძილზე მხოლოდ მანიას შეკერილ ტანსაცმელს ატარებს მანანა მანჯგალაძე. წარმატებები არ დაიშურა მის მიმართ და სამტრედიელი მანდილოსნები ისევ და ისევ გაეხარებინოსო, დასძინა.

"თავისებური ხედვა და სტილი აქვს, არ ჰგავს სხვას. მეცვა, მაცვია. და მომავალშიც ჩავიცვამ მანიას". _ გვარწმუნებს თეა შენგელია.

"მოხარული ვარ, რომ ჩვენს სამტრედიას ჰყავს დიდი დიზაინერი მანიას სახით. რამდენჯერაც კი მასთან კაბა შემიკერია, ყოველთვის კმაყოფილი დავრჩენილვარ, ვულოცავ მას ამ მნიშვნელოვან დღეს". _ გვითხრა ხათუნა ქიშმარიამ.

მარინა გაბედავას განმარტებით კი: "ეს იყო საკმაოდ მაღალი დონის ჩვენება და სასიამოვნო საღამო სამტრედიელებისთვის. მანიას დიდი ხანია ვიცნობ და ვიცი, როგორი რუდუნებით, თავდაუზოგავი შრომით მიაღწია ამ ყველაფერს. მივესალმები მის ნოვატორულ წამოწყებას და უფრო დიდ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ".

საღამოზე სიმღერით წარსდგა ჯგუფი "TRINITY" რომელიც 2018 წლის "X ფაქტორის" მონაწილეა. ჯგუფის წევრებმა: მარი ტორონჯაძემ, თათა ხუჭუამ და ლეილუკა რუხაძემ მადლიერება გამოხატეს "სამტრედიის მაცნესთან" მანია ვაშაკიძის მიმართ. გოგონები მისი შეკერილი ტანსაცმლით წარსდგნენ 4 სკამის კონკურსზე. "ყველასგან გამორჩეულები ვიყავით ჩვენი სამოსით, რასაც ჟიურიმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი. 2 სკამის კონკურსზე ხომ საერთოდ გავაოცეთ, ისე მოეწონათ ჩვენი კაბები. შემდეგ იქაური დიზაინერი ურეკავდა და უთანხმებდა ქალბატონ მანიას, თუ რა უნდა ჩაგვეცვა, მის აზრს იწონებდა". _ გვიყვებიან ისინი.

მანია ვაშაკიძის მოდების ჩვენების უპირველესი მიზანი მაღაზიის "მანია" რეკლამირება გახლდათ, რომელიც ხვალ ჩვენს ქალაქში გაიხსნება. იდეა მარი გაგუას ეკუთვნის, ისევე როგორც საღამოს სლოგანი. "ტანსაცმლის აქსესუარებიც ჩემი იყო, ვიზაჟისტიც მე ვიყავი და დეფილეზეც მე ვიზრუნე". _ გვეუბნება იგი. _ "გოგონებისგან ბევრი ახალბედა იყო. რუსკა ილურიძე და ლელა თევზაძე გამოცდილი მოდელები არიან. როცა პირველი "მის იმერეთი" გავხდი 2008 წელს, "მის საქართველოზე" გამიშვეს და ფინალისტებს შორის მოვხვდი. ასე რომ, გამოცდილება მქონდა და მე თვითონ ვამზადებდი გოგონებს სამტრედიაში. "მარიონელასთან" მქონდა კავშირი, რომელიც "მის იმერეთის" კონკურსს ატარებდა და ჩემი ერთი გოგონა პირველი ვიცე მისი გახდა. ამჯერადაც დეფილესთვის მე ვასწავლიდი მოდელებს სწორად სიარულს.

წლების წინ, ოთხჯერ ღია ცისქვეშ და ერთხელ დახურულ სივრცეში გვქონდა ჩვენება. ახლანდელი მაინც განსხვავებული იყო. მიხარია, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ხალხის ემოციაც გულწრფელი იყო". _ ამბობს მარი ჩვენთან საუბარში.

ზვიად ბუაძე და ილია ბაახია მამაკაცთა იმ უმცირესობაში მოხვდნენ, საღამოს ინტერესით რომ აკვირდებოდნენ. კაბებიც მოიწონეს და ხელთნაკეთი ჩანთებიც. ჩვენი მეშვეობით გზავნილიც გაუგზავნეს დიზაინერს, კარგი იქნებოდა, მამაკაცის ტანსაცმლის ხაზზეც ემუშავაო.



"წარმატებული დეფილეს შემდეგ კაბების უმრავლესობა დაიჯავშნა და მაღაზიის გახსნისთანავე გაიყიდება. "ბოლოს 2010 წელს მქონდა ჩვენება. მონატრებულიც მქონდა ეს ყველაფერი. მას შემდეგ გავიზარდეთ, გამოცდილება მოგვემატა, რაღაც სტილიც შეიქმნა სამტრედიაში, ჩემი კლიენტები უფრო სხვას ითხოვდნენ ჩემგან. მეც მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი და ამიტომ, ჩვენება მომეწყო, თავს ვიკავებდი.

ყოველთვის კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ. არ ვეძებ პლუსებს, ყოველთვის ვეძებ, რა შემეშალა, მაგრამ ახლა ბოლომდე ვარ კმაყოფილი. ჩვენი მხრიდან რაც შეიძლებოდა, ხომ ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ სტუმრებიდან რომ კარგი განწყობა მოდიოდა. სასიამოვნო იყო. ქალბატონებმა ჩემი კაბები ჩაიცვეს, ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს დღესასწაულისთვის ემზადებოდნენ, ყველა ბოლომდე დაიხარჯა, ყველას უნდოდა, საღამო კარგი გამოსულიყო, "სენატის" მფლობელებსაც, ფოტოგრაფებსაც, დარბაზის დიზაინერსა და დამხმარე ქალბატონებსაც... ყველას, ვისაც კი ჩემთან შეხება ჰქონდა". _ აღფრთოვანებას ვერ ფარავს მანია ვაშაკიძე.



დეფილეზე ყურადღების მიღმა არ დარჩენილა მხატვარ-დიზაინერ ლანა ძოძუაშვილის ჩანთები. "ლანას მეუღლესთან ერთად ფეხსაცმლების სამკერვალო საამქრო "ქალამანი" აქვს ქუთაისში. როცა ჩვენთვის სასურველი ფეხსაცმელები დავხატეთ და შესაკერად მივუტანეთ, მაშინ გადავწყვიტეთ, ეს შესანიშნავი, ხელით ნამუშევარი, ბუნებრივი ტყავისგან დამზადებული ჩანთებიც წარგვედგინა. ორი ღამე გაათენა ცოლ-ქმარმა, მათი დამზადება რომ მოუსწროთ". _ გვიყვება ქალბატონი მანია. მაღაზიაში, რომელიც დიზაინერს ეკუთვნის, ტანსაცმელთან და ფეხსაცმელთან ერთად ლანა ძოძუაშვილის ჩანთებიც იქნება წარმოდგენილი.

მე ისეთი მდიდარი არ ვარ იაფად ვიყიდო... ასეთი კლიენტურა მყავსო, გვეუბნება დიზაინერი. შედარებით ძვირი, მაგრამ ხარისხიანი იქნება მაღაზიაში მისი ტანსაცმელი. მაგრამ იმაზე იაფი, ვიდრე ის სალონში ინდივიდუალურად იკერება, მსურველებს შეეძლებათ, განვადებითაც ისარგებლონ.

"სამტრედიაში ძალიან ბევრი გემოვნებიანი ადამიანია. ურჩევნიათ, ჩემთან მეტი გადაიხადონ და შეიკერონ, რადგან ბაზარზე შეძენილ კაბას, მაინც დასჭირდა გადაკეთება. ჩემს შეკერილს კი მოხერხებულად ატარებს და დისკომფორტს არ გრძნობს. ერთიც, როცა სალონში შეკვეთას ვღებულობ, ის ერთადერთი მოდელია და განსხვავებული, მაღაზიაში ასე არ იქნება, 2-3 ერთნაირი სამოსი გაიყიდება".

რა განაპირობებს მანიას წარმატებას? "არ ვიტყუები". _ ასეთია კითხვაზე მისი პასუხი. _ "თუ არ მომწონს ჩემი შეკერილი, არ ვიტყვი, რომ მომწონს. არასოდეს დავიზარებ, შეკერილი დავშალო და თავიდან შევკერო. ასეთი მყავს გუნდიც. კარგები რომ იყვნენ, ჩემთან კიდევ უფრო უკეთესები გახდნენ. ირმა ხელაძე, ნანა შანიძე, მარი გაგუა ზუსტად ისეთივე პროფესიონალები არიან, როგორიც მე, ზუსტად ისე სცემენ თავიანთ ნამუშევრებს პატივს, როგორც მე, 5 ლარიანი იქნება თუ 500 ლარიანი, მნიშვნელობა არ აქვს. ერთად შეკრული გუნდი ვართ". ფიქრობს, რომ ბიზნესის სახე მისცეს იმ ყველაფერს, რასაც აკეთებს. მის მიერ შეკერილი ტანსაცმლის შეძენის მსურველი კი უკვე ბევრია, ამიტომ მომავალში მაღაზიათა ქსელის გაფართოებას ვარაუდობს.

როგორც გვიხსნის, ყველაფერს აკეთებდა, რომ მის სახელთან ხარისხი და გემოვნება ასოცირებულიყო. მოვიდა დრო, რომ თუ აქამდე მე ვიშრომე სახელისთვის, ახლა სახელმა იმუშაოს ჩემზე".

რაც შეეხება მამაკაცების ტანსაცმლის ხაზს, მასზე მუშაობას არ აპირებს. თუმცა ჰყავს რამდენიმე მამაკაცი, რომლებიც მასთან სისტემატურად იკერავენ. მის ნათქვამს თუ გავიმეორებთ, ეს იმიტომ, რომ "ისევ ჩემს კლიენტებზე ვზრუნავ, ვუქმნი კომფორტს ქალებს".



## ახალგაზრდა კარიკატურისტის შემოქმედებითი ცხოვრება

*ახალგაზრდა თვითნასწავლი კარიკატურისტი შოთა პაპავა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლობს. უკვე 400-ზე მეტი ნამუშევარი აქვს შესრულებული. მადლიერებით აღნიშნავს, რომ თუკი აკადემიური ხატვის ელემენტარული წესების შესახებ ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს, ეს კარიკატურისტ ნიკა კემულარიას დამსახურებაა.*

*7-8 წლის წინ მისი კარიკატურები გაზეთ ''სამტრედიის მაცნეში'' დაიბეჭდა, რამაც ცოტა ხანში სისტემატური ხასიათი მიიღო. 3 წლის შემდეგ იგი გაზეთის თანამშრომელი გახდა, 16 წლის ასაკში გამოცდილი კოლექტივის გვერდით იყო. გარდა კარიკატურებისა, ხატავს პეიზაჟებსაც, მაგრამ უფრო მეტად პორტრეტების ხატვა მოსწონს. მუშაობს ყველანაირი საღებავით, აკვარელითაც და, უბრალოდ, ფანქრითაც. უყვარს საკუთარ შესაძლებლობებზე დაკვირვება _ ცდილობს, გამოიყენოს ის მასალა, რომლით ხატვაც ჯერ არ უსინჯავს. ასეთია, მაგალითად, ნახშირი და ჟანგმიწა. კარიკატურების ავტორობის გამო ბევრ კარგ ადამიანთან ჰქონდა ურთიერთობა. ნახატებით გაეცნო ბატონებს: ვახტანგ ჯავახაძეს, ჯემალ ღაღანიძეს, კახი კავსაძეს, რეზო ჩხეიძეს, გივი ბერიკაშვილს, გურამ ფირცხალავას, გიზო ჟორდანიას... როგორც ერთ-ერთ სამახსოვრო ჩანაწერში ვკითხულობთ, გივი ბერიკაშვილმა შემოქმედებითად აკურთხა კიდეც: მარჯვენა დაგელოცოსო.*

*შოთას კარიკატურის ჩანახატისთვის 15-20 წუთი სჭირდება, თუმცა, თუ, მაგალითად, პორტრეტს ამუშავებს, შეიძლება ამას რამდენიმე დღე მოანდომოს. მისთვის პირველ ადგილზე განათლება დგას _ ამბობს, რომ უმეცრების ჩარჩოში მოქცეული აზროვნების ადამიანი არ შეიძლება იყოს არათუ მხატვარი, არამედ, საზოგადოდ, შემოქმედი. მისთვის წარმოუდგენელია, როცა ამბობენ, _ მხატვარი ვარ, მაგრამ 2-3 წელია, არაფერი დამიხატავსო. მხატვარმა ტექნიკა თუ არ დახვეწა, ვერ განვითარდება, თუ მუდმივად არ იმუშავა, როგორც, მაგალითად, პიანისტმა, მერე ფანქრის ხელში აღება გაუძნელდება. _ აღნიშნავს იგი. სხვადასხვა დროს მონაწილეობა აქვს მიღებული ჯგუფურ ფგამოფენებში. პერსონალური გამოფენა ჰქონდა 2016 წელს ქალაქ სამტრედიის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.*

**_ როდის დაიწყეთ კარიკატურების ხატვა და ვინ იყო პირველი ადამიანი, რომელიც დახატეთ?**

_ კარიკატურების ხატვა 10 წლისამ დავიწყე. იმ დროს ეს ჩემთვის საინტერესოზე მეტად სახუმარო იყო. მეგობრული შარჟების ადრესატთა რეაქცია, რა თქმა უნდა, ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა. გარკვეულ სტიმულს მაძლევდა ინტერესი იმისა, თუ როგორ აღიქვამდნენ ადამიანები ნახატზე თავიანთ თავს. ნამდვილად არ მახსოვს, ვინ იყო, ვინც პირველად მიიქცია ჩემი ყურადღება და მისი სახე ქაღალდზე გადავიტანე, მაგრამ ის წარმატების მომტანი ადამიანი აღმოჩნდა.

**_ რას ნიშნავს, იყო კარიკატურისტი და იუმორისტულად ცდილობდე ადამიანთა თვისებების გადმოცემას?**

_ შოთა, უბრალოდ, კარიკატურებს ხატავს. აი, მაღალი დონისა და ოსტატობის ქართველი კარიკატურისტების სახელები კი შემიძლია გითხრათ: ზაალ სულაკაური, ნიკა კემულარია (კემო), ბესიკ დუღაშვილი, გიორგი გამეზარდაშვილი, ირაკლი თოიძე... ისინი, ფიგურალურად რომ წარმოვსახოთ, დონის (დავით ნაცვლიშვილი), ანდრო კანდელაკის, ჯემალ ლოლუას, გიგლა ფირცხალავას, ვახტანგ კუციას და სხვა ცნობილი მხატვარ-სატირიკოსების ჩამომავლები არიან.

კარიკატურა საკმაოდ მძლავრი იარაღია სხვადასხვა დანიშნულებისათვის. არახალია, რომ მას პოლიტიკური ჯგუფები ხშირად იყენებდნენ საკუთარი მიზნების მისაღწევად, კონკურენტთა სამხილებლად, ჩანაფიქრის საჩვენებლად (ან დასაფარავადაც). მე ჩემი ნახატებით ძირითადად ადამიანების გახალისებას ვცდილობ.

**_ რის მიხედვით არჩევთ ადამიანებს დასახატად, რამე განსაკუთრებულს ხედავთ მათში?**

_ ნებისმიერი ადამიანის კარიკატურის დახატვაა შესაძლებელი, მაგრამ თუ მას დამახასიათებელი ნაკვთი აქვს ან სპეციფიკური სტილით გამოირჩევა, თუნდაც, ყურადღებას იქცევს ჩვეული მიმიკით, დგომის, სიარულის მანერით, მაშინ გაშარჟებაც ბევრად ადვილია და შემდეგ მნახველთაგან დახატული პერსონის ამოცნობაც.

**_ თქვენი ნამუშევრების შეძენის სურვილი ხომ არ გამოუთქვამს ვინმეს?**

_ ყოფილა შემთხვევა, მაგრამ რამდენჯერმე უარიც მითქვამს. როცა წინასწარ არ ფიქრობ, რომ ესა თუ ის ნახატი რაღაც დროის შემდეგ სხვისი უნდა გახდეს, გიჭირს დათმობა. ქაღალდს რომ დავხედავ, თითოეული ხაზის გასმის მომენტი მახსენდება. ეს მომენტები კი ზოგჯერ ძალიან ძვირფასია.

**_ როგორ დაასრულებდით ფრაზას: ცხოვრება მშვენიერია, როცა...**

_ როცა გვერდით გყავს ადამიანი, რომელსაც ამ მშვენიერებას გაუზიარებ.

<u>***ანი გოგიშვილი***</u>

## წუთისოფლის მტვრით დაძველებული 50 წელიწადი

**თეა ბაბუნაშვილი**

***მურადი ვარ კალაძეო, გაგვიმხილა. თუმცა მანამდე ეჭვის თვალით შემოგვხედა, 50 წელია, არავინ დაინტერესებულა და ახლა ვიღას ვუნდივარ 80-ს მიღწეული მეწაღე ჩემი ჯღან-ფეხსაცმლითო.***

***არადა, სწორედ ეს 50 წელია საინტერესო, ნემსის ყუნწში გაყრილი ძაფივით რომ დაილია, წუთისოფლის გზაზე გაცვეთილი ფეხსაცმლის გაახლებაში.***

***და გაახლებული ფეხსაცმელივით გრძელდება ცხოვრებაც, გრძელდება, გაჭირვებას მოყოლილი დალხინების, სევდას წამოწეული სიხარულის, დასვენებით შემსუბუქებული დაღლის, მოშუშებით დაამებული ტკივილის ლოდინში.***

ჯერ ისევ მეშვიდე კლასში იყო, გოდერძი და კარლო კალაძეებმა ხელობა რომ ასწავლეს. მაშინ ამ ხელობით პურის ფულის შოვნა კი არა და, ოჯახის გამართვა შეიძლებოდა! საყოფაცხოვრებო გაერთიანება დიდი ორგანიზაცია გახლდათ იმხანად. მეწაღეები ხელფასს იღებდნენ, მაშინ სოლიდურ თანხას. რაც მთავარია, ძალა ჰქონდა იმ ფულსო, მაშინდელი 60 მანეთი 600 ლარს უდრის დღესო, მურად კალაძემ. საფეიქრო ტექნიკუმის დასრულების შემდეგ კარლო კალაძემ მის ადგილზე დატოვა და ასე აღმოჩნდა მურად კალაძე ძაფსახვევსაგრეხი ქარხნის ეზოში მეწაღის პატარა ჯიხურში. 18-20 წლამდე იქ მუშაობდა. მერე ''სამწლიანი ჯარი მოვიარე რუსეთში, დნეპროპეტროვსკში ვიყავი. ახლა რომაა, ისე კი არ იყო, ერთი უმაღლესის დამთავრებას უდრიდა მაშინ ჯარის მოვლა. წესრიგს მიგაჩვევდა, პასუხისმგებლობას გასწავლიდა ჯარი, კაცად გაქცევდა.'' _ იხსენებს მურად კალაძე.

ადგილი ენახებოდა და სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ ისევ იმ ''ბუტკას'' დაუბრუნდა ქარხანაში. მერე ოჯახი შექმნა. 16 წლისაც არ ყოფილა პატარძალი, მაგრამ აგური აგურს დაადეს და... ორი შვილი, გიგა და შორენა გაუზარდეს ქვეყანას. მათ უკვე საკუთარი ოჯახები აქვთ. თუმცა, მამა თვლის რომ ნაკლები შესაძლებლობებია ქვეყანაში იმისა, ახალგაზრდები ოჯახებს ისევე მარჯვედ წარუძღვნენ, როგორც ეს ძველ დროში ხდებოდა. ''რომ ვთქვა, მეშინია კიდეც არ დამიჭირონ. მე ის დრო მომწონდა! მაშინ სამსახური იყო, ექიმი იყო, წამალი იყო, ფული ფულობდა და შრომა ფასდებოდა. ლხინიც იყო და არც ჭირი გაშინებდა ისე, როგორც დღეს ცარიელხელებიანს!'' გარდა ამისა, 7 მეწაღე დარჩაო სამტრედიაში, შეგირდებზე საუბარი ზედმეტია, ვის უნდა, ვინ კადრულობს მეწაღეობას! არადა, თავის დროზე, როგორც ყველა სხვა, ეს პროფესიაც დაფასებული ყოფილა. და კიდევ ერთი: ''ახლანდელი ფეხსაცმელი სარემონტოდ არ ღირს, ერთჯერადია! ადრე, ტყავი იყო, ''პადოში'' იყო, მასალაც ვარგოდა და... ვერ დახევდი! დღეს ჩვენით თუ არ ვიყიდეთ, ვინ გაძლევს ნემსს ან ძაფს. მაშინ გვამარაგებდნენ ყველა საჭირო მასალით, ინვენტარით. ატელიები მუშაობდა, ხარისხიანი პროდუქცია იკერებოდა და იმას ვიწუნებდით. ახლანდელი ხომაა მოსაწონი, ერთს ჩაიცვამ და გადასაგდებია! ერთი სიტყვით, ქვეყანა ქვეყნობდა, ძლიერი იყო!'' თუ ძალიან მდიდრები არა, საჭმელ-სასმელი რა მოსატანია, ცხოვრება არ უჭირდა მშრომელი კაცის ოჯახს. დღესაც თავადაა ერთადერთი შემტანი დიდ ოჯახში. სადაა სამუშაო და... ყანას ''შეაფარა'' თავი ვაჟიშვილმა. ყანა კი დღეს ვის არჩენს და... ვაჟიშვილი თავადაც ბაბუაა უკვე, ბევრი სჭირდება ოჯახს!






ახალგაზრდობაში კარგი ბიჭი ყოფილა მურად კალაძე, ისეთი, ''საშველს'' რომ არ აძლევდნენ ქალები. არც ფული უჭირდა ხელობის და კარგი ხელის წყალობით, ცეკვა-სიმღერა ხომ ჩინებული სცოდნია. შრომობდა, მაგრამ უშედეგოდ არ უშრომია. მეუღლესთან, ეთერისთან ერთად ოჯახი ფეხზე დააყენა, შვილები ღირსეულად აღზარდა. ახლა შვილიშვილებით ხარობს და კვლავ ''ჩემი ეთერი მივლის. ცოლი კარგი ყოფილა ახალგაზრდობაშიც და სიბერეშიც. მაინც ერთმანეთის იმედი გვაქვს.'' _ ეღიმება ახალგაზრდობის გახსენებაზე.

ოთხშვილიან ოჯახში ნაბოლარა გახლდათ. მშობლების გარდაცვალების შემდეგ უფროსი ძმის ცოლმა გაზარდა, მშობელთა კრებაზეც ის დადიოდაო, გვითხრა.

ახლა ბევრი რამ უკვირს, უკვირს ''მეზობელი მეზობელთან არ დადის სალაპარაკოდ. ადრე საღამოობით სავსე იყო ეზო და ქუჩა. ნაკლებად იღიმება ხალხი, თუმცა, აღარც დამლაპარაკებელი დარჩება მალე, ყველა მიდის.'' და კიდევ აკვირვებს შინ დარჩენილი მამაკაცები და საშოვარზე წასული ქალები, მაგრამ ''რა ქნან, შვილი შიმშილით რომ უკვდება, ვერ გაჩერდა სახლში ქალი! ადრე 300-ზე მეტი ქალი მარტო აგერ, დაფნის კომბინატში მუშაობდა, რაიკავშირი იყო, საავადმყოფოები იყო და ფაბრიკა-ქარხნები. მიკვირს კაცო, ყველაფერი ასე როგორ გავაპარტახეთ და გავასწორეთ მიწასთან!''

ფეხებმა მიმტყუნა, სიარული მიჭირსო, წუხს. ''ზაბოჟნიკები'' ასეა, საერთოდ, სულ რომ ''ზიან'' ფეხები უდუნდებათ.'' მაგრამ, მაინც ჯიუტად მოუხუჭავს ცალ თვალს ნემსის ყუნწს გასანთლული ძაფის გასაყრელად. ცხოვრებაც ხომ ნემსის ყუნწში გაძრომაა და... ასე გაილია 80-დან 50 წელი მეწაღეობაში, კარგი ხელის წყალობით ნამუსიანი პური რომ აჭამა.

ფეხით გადასასვლელ ხიდს რომ ეძახიან სამტრედიაში, იმას გადახვალთ და ''ნოვისვეტში'' პატარა ''ბუტკაში'' მურად კალაძე გელოდებათ. ჰოდა, გაახლდება წუთისოფლის მტვერით დაძველებული ფეხსაცმელი, თუნდაც, ერთჯერადი იყოს იგი!

# ახალი ლექსები

***
მზე მოაფრქვევს
თაფლის სურნელს,
ზენიტში დგას
ის ღვთის ხატი,
ლაინისფერს –
ზღაპარს ხლართავს,
ცაცხვის მხრების
ელეგანტი...
თავს მახსენებს
უნაზესი
გრძნობა,
სულში ანანთები.
ხან გოლგოთას განცდა
მალავს,
ხან კი ამაღლების
მთების...
ხშირად მიხმობს
დედოზარი,
დაბზნილ სულის
საგოზავი.
ცისკრის ლოცვა
ცამდე ადის!..
და დღეის დღეს
დავუზავდი.
ქუჩას გასდევს ცაცხვის
კანტი,
ზენიტში დგას
მზე – გიგანტი.
მაგონდება
ციდან ცამდე
ფართო მხრების
ელეგანტი...

**ბროწეულები**
შემომეფშვნა
დილა ხელში,
ცა ოცნებით
დამივლია...
ბროწეულებს შევეჩეხე,
ყვავილები
გარს მივლიან...
მზეო, ვიდრე
ჩახვალ ხევში,
პირქუშ მთების
საწნეხელში...
წავალ, თორემ
''მტერი ჩემი''
ჩავარდნია ამათ ხელში.

**აბსურდი**
მზე რომ არ დაიწვეს,
სტრიქონი აკიბეთ,
შინ ჩამოიყვანეთ,
ლექსები აპკურეთ.

***
მინდორს ეცვა კაბაჭრელი,
ფერად უხვი, განა მწირი.
და სურნელი ქარს მოჰქონდა
თავნახადი, განა ძირი.
დილის ვარდი თვალს ახელდა,
იყო ღამე განაწირი,
ღელვა ლურჯი ღიღილოსი,
ზეცის ფსკერზე დანაძირი.
ვთვალე... ვრიყე ვარსკვლავები,
ფერად ლურჯი იათ გუნდის,
იყო თრობა უამესი,
ვკრიფე მუჭით იაგუნდი...
ბადე მოდევ, მზევ, ჩურჩულით
ველზე დასხი ყვავილთ ჯური...
მოჩითული კაბა-ჯუბით
დავაბიჯებ ჩამიჩუმით.

**მეგობარს**
*(პასუხი მოკითხვაზე)*
...ჩვენთან სიმშვიდე,
დგას გაზაფხული,
შეშლილა, გაცდა საზღვარს!..
არ გამიტოლოს შემშინებია,
ხან ისეთი მაქვს განცდა.
გუშინ ძირულას ძირს ჩავყურებდი,
თითქოს ჰყვებოდა ''რაცხას''...
ჰგავდა ეს გრძნობა,
ვერაფრით ავხსნი, –
არც სიზმარეულს, არც ცხადს.
აპრილის ნახეთ რიკოთის მთები!
გახსენით გულის ფარდა...
მერწმუნეთ,
განძი
გროშად არა ღირს,
ჩვენი მამულის გარდა!

**არ გეგონოთ!**
''მე დაკარგულად ვერ ჩავთვლი
იმას, რაც ჩემი ნებით არ დამითმია''
*ოთარ ჭილაძე*

არ გეგონოთ,
უქომაგოდ გტოვებთ,
მთებო,
მონისლულებს.
ვერ დაიდგამს
უფლის ნებით
საქართველო
მონის უღელს.
სულო,
ლაგამგაწყვეტილო...
მტრედისფერი
დილის ტყვეო,
სამაჩაბლოს გაზაფხულო...
ლამის სიზმრად
გინატრეო.
......
ხემ ფეხი როგორ აიდგა,
მიწამ ხომ ენა არ იცის?
ისეთი ზარი დაგვეცა,
მარყევს ხარხარი
მაცილის.
დაწიალებენ მართვენი,
იწვება ბუდე არწივის,
კავკასის მიღმა აღმოჩნდა
ჩემი მამულის ნაწილი.

ლეილა ჯახველაძე

# მზია ჩიხლაძე სამტრედიას მოუკვდა



მალე 40 დღე გახდება, რაც მარადისობის ბინადარია ღვაწლმოსილი მსახიობი, საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის მოადგილე, საოცრად აქტიური ქალბატონი მზია ჩიხლაძე.

მოსწავლე ვიყავი მაშინ, როცა სპექტაკლში ''დარაბებს მიღმა გაზაფხულია'' მის მიერ უზადოდ შესრულებული როლი ვნახე.

წლები გავიდა მას შემდეგ.

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში სამტრედიაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი რამ, ქალბატონ მზიას აქტიური მონაწილეობა რომ არ მიეღოს.

უამრავი მთავარი თუ ეპიზოდური როლი აქვს შესრულებული თეატრში. მზია ჩიხლაძეს წილად ხვდა პატივი, პარტნიორობა გაეწია სცენაზე ლეგენდარული ეროსი მანჯგალაძისა და ვერიკო ანჯაფარიძისათვის, თავისთავად არ მოსულა ყოველივე.

მერე იყო აგიტმხატვრული ბრიგადა, მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება, შეხვედრები, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები...

სოლიდური ასაკის მიუხედავად ტოლს არ უდებდა მასზე ახალგაზრდებს, უცხო იყო მისთვის ღალატი, განზე დგომა, საოცარი პასუხისმგებლობით, პროფესიონალურ დონეზე ასრულებდა ყველა საქმეს, რომელსაც, ხელს მოჰკიდებდა.

სიბერის დამმარცხებელმა ქალბატონმა არაერთხელ გაახარა მისი სტუმრობით ''სათნოების სახლის'' ბინადარნი.

''ჩამომეხსენი სიბერევ, ცხოვრებას ვიწყებ თავიდან'' ომახიანად იტყოდა ლექსს და თითქოს სიბერეს ავიწყებდა, სიცოცხლის ხალისს, ენერგიას ჰმატებდა საწოლს მიჯაჭვულ სათნო მოხუცებს.

მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს წლის ბებია გახდა და ერთხელ კიდევ ასახელა ჩვენი და მისი საყვარელი სამტრედია.

ერთნაირად დასაწყვიტა გული მისმა გარდაცვალებამ ოჯახს, ახლობლებს, თეატრს, ბიბლიოთეკას, ჩვენ, მის უმცროს მეგობრებს.

უკვე ისტორიის კუთვნილებაა მზია ჩიხლაძის გვარ-სახელი.

ემახსოვრება ქალაქის ქუჩებს ჩქარი ნაბიჯით მავალი სათნო ქალბატონი, მსახიობი, მეგობარი, დედა, ბებია, დიდი ბებია და არასოდეს დაივიწყებენ მის სახელს.

მზია ჩიხლაძე სამტრედიას მოუკვდა.

ნათელში იყოს!

ლევან გაბიჩავა

# უბის წიგნაკიდან

**მას**
ჩუმად რომ დააკაკუნე
მისი ღიმილის კარებზე,
თმასხივზე წვიმა გადივლო და
ცა გაისწორა სახეზე...

***
მზეს წვიმამ ფეხი ატკინა
და დილით როგორ ეამა,
რომ თავის ლურჯი კაბითა
გადაუხვია იამა!..

***
მწიფე ლეღვის ტოტზე
ჩემი თვალები
ჭიანჭველებივით მიცოცავენ...

**მედეა ჯაფარიძეს!**
შენ კი არ წახვედი,
უბრალოდ ანგელოზმა
შენი სახე ცოტა ხნით გთხოვა.

***
თითქოს ხელი მკრეს
შენს თვალებიდან და გადმომაგდეს ბეჩავი რა წამს,
შენს ქუთუთოზე ჩამოვეკიდე,
არ მინდა, ხელი გავუშვა წამწამს...

***
გავყურებ ოდას, ჩემი ეზოს
სვეტიან ოდას
და თვალის შიგნით ყველა კუთხე
მეთბილფიქრება.

***
აი, რა არის ცხოვრება მთაში!
იქ ხომ ვარსკვლავებს ხელის შეხებით გადაიმარცვლი,
გლეხი ბიჭი რომ დაამთავრებს ლექსების წერას,
წამოდგება და თავზე ღრუბელს რომ
გადაივარცხნის?..

***
წუხელ ცამ ჩააბარა სუფთა წერა,
ნიშნად ცისარტყელა მიუწერეს,
და ვაჟის გულში ქალის გული
ტაძარს სტოასავით მიუშენეს...

***
ზოგჯერ ძველ სიმღერებს
როცა მღერიხარ,
თუ გრძნობ, შენს ხმაში
წინაპრის ხმამ რომ ჩამოიარა?..

***
მზე – სიკვდილ-სიცოცხლის
ხმლების მიერ ასხლეტილი ნაპერწკალი...

***
როდესაც სული მეტკინა,
თითქო დედაჩემმა თავისი სიახლოვის
სითბოთი შემიხვია...
***
პეპელა დააჯდა საათის ისარს,
თითქოს ისარმაც იგრძნო ეს და
ცოტა ხნით გაჩერდა...
***
შენ რომ ვარდები გადმომაყარე,
სისხლად ჩაექცა თვალებში
ზაფხულს....

ერმილე თოფურია

**საწუთრო**
აყალყდა, შედგა ცერებზე,
დგაფუნით სულ წინ იარა.
ხან მე მოვექეც ქეჩოზე,
ხან თვითონ გადამიარა.
არ ვნებდებოდი, ვებრძოდი,
ზვირთებად აგორებულსა,
გამძლეობაში ვიწვევდი,
გამძლეობითვე ქებულსა.
უფრო ამრავლა ტალღები,
ბრაზობდა, არ ვნებდებოდი,
რაც უფრო მეტად მიწვევდა,
მით უფრო ვეურჩებოდი.
ასე ვიარეთ აქამდე,
ერთურთს ვუმრავლეთ იარა.
ხან მე მოვექეც ქეჩოზე,
ხან თვითონ გადამიარა.

**თითქოს წლები არც ყოფილა**
ისევ ღამე, ისევ მთვარე,
ისევ ვარსკვლავების ცვენა,
ვარდის ბაღშიც ბულბულების
ტკბილი, საამური სტვენა.
თითქოს წლები არც ყოფილა,
ძველებურად მღერის გული,
თითქოს პირველად იხილა
თვალჟუჟუნა გაზაფხული.
თუმცა მთვარეს მაინც აზის,
თითქოს, წლების მძიმე დაღი.
დაბლაც ათასწლეულს ითვლის,
ვარდის ვარდისფერი ბაღი.
მაგრამ, აი, აშრიალდა,
გარიჟრაჟის სიო ლაღი,
მთებმაც მაღლით შემოიდგეს
ისევ მტრედისფერი თაღი.
ახლა უკვე ალიონზე
ტოროლების ტკბილი სტვენა.
ვარდის ბაღშიც ვარდისფერი
ნაზი ფანტელების ცვენა.
თითქოს წლები არც ყოფილა,
გული ისევ ისე მღერის,
თეთრი რაშით პრინცის მოსვლას.
ისევ ძველებურად ელის.
ბულბულსაც კვლავ ძველებურად,
ათრობს სურნელება ვარდის,
ვარდის ბუჩქიც ლამაზ ფანტელს,
ისევ ძველებურად ბარდნის,
თითქოს წლები არც ყოფილა...

მარინა გოგაძე

# ისევ გვასახელეს

ქუთაისში დამთავრდა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში.

კვლავ წარმატებით იასპარეზა იმერეთისა და საქართველოს ჩემპიონმა 7 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის 6 წლის ლუკა რუხაძემ. მან მეოთხეთანრიგოსან ჭაბუკთა შორის მასზე გაცილებით უფროს მოჭადრაკეებთან პაექრობაში (სულ 65 მონაწილე იყო), 9-დან 7,5 ქულით მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა (მწვრთნელი ბესო ლეჟავა).



მეოთხეთანრიგოსან გოგონათა შორის კი 5,5 ქულა მოაგროვა 7 წლის ხატია რუხაძემ.

8 წლამდე უთანრიგო გოგონათა შორის 9-დან 7 ქულით მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა 7 წლის ელენე ბაღდავაძემ.

8 წლამდე უთანრიგო ჭაბუკთა შორის 9 შესაძლებლობიდან 7 ქულით მე-4 თანრიგის ნორმატივი შეასრულა 7 წლის გიორგი ქიმუცაძემ (№2 საჯარო სკოლის I კლასის მოსწავლე).

6 წლამდე უთანრიგო ჭაბუკებში 7 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა 6 წლის გიორგი ბაღდავაძემ, რომელმაც შეასრულა მე-4 თანრიგი. მეოთხეთანრიგის ნორმატივები შეასრულეს აგრეთვე, ბეჟან ბაკურაძემ, სანდრო შანიძემ.

აღსანიშნავია, რომ მერაბ მეტრეველის მემორიალში წარმატებით იასპარეზეს მწვრთნელ ბესო ლეჟავას შეგირდებმა. 8 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონებს შორის მესამე





ადგილი დაიკავა ხატია რუხაძემ, მეორე ადგილზე გავიდა ლუკა რუხაძე. საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით. თითოეული მოჭადრაკის წარმატება მწვრთნელ ბესო ლეჟავას მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია.

მიმდინარე წლის 13 ივლისს ქ. ფოთში ტარდება მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირი ნანა ალექსანდრიას თასზე. ამ ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებიან ბესო ლეჟავას მოსწავლეები, და-ძმა ხატია და ლუკა რუხაძეები.

*გულიკო გოგიტიძე*

*საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია*
*"ქალდეას" და "ფაზისის" აკადემიის წევრი*



ხოჰვაკებმა ღაგვამახცხეს,
გამოგვკაცეს ოქროს თასი,
სამყაროდან ნავშლი მაგათ,
კაპიკია მათი ფასი.

## ვულოცავთ!

**მანანა ბაღდავაძეს!**



ჩვენს სიყრმის მეგობარს, უძვირფასეს მანანა ბაღდავაძეს, ვულოცავთ დაბადების დღეს, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს

*პატივისცემით თანაკლასელები კოტე ნასარაია და ბესო დარჯანია ოჯახებით*

**ბატონ ლევან პაპავას!**

68 წლის შესრულებას ვულოცავთ ღირსეულ სამტრედიელს, ბრწყინვალე ოჯახის თავკაცს, ბატონ ლევან პაპავას, უფლის მადლი და წყალობა არ მოჰკლებოდეს.

*პატივისცემით საზოგადოება "სამტრედიელი"*

**სასწრაფოდ იყიდება**

ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, ორი ბინა - ოროთახიანი და ერთოთახიანი.
მობ.: **599 43 90 01; 599 68 95 35.**

## აბჰოჯანა _ ვალის ამოღების საოცარი პრაქტიკა ინდოეთში

ინდური რელიგიური განმარტებითი ტექსტები _ ''შასტრა'' კრედიტორებს მევალეებისაგან ვალის ამოღების ერთობ უცნაურ, გრძნობებსა და მორალზე გამავალ მეთოდს სთავაზობდა. ''შასტრას'' რეკომენდაციის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მევალე კრედიტორს ვალს დათქმულ დროზე არ ან ვერ დაუბრუნებდა, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, კრედიტორი _ შიმშილობას იწყებდა. აღნიშნულ მეთოდს ინდოეთში _ აბჰოჯანა''-ს სახელწოდებით მოიხსენიებდნენ და იგი ვალის ამოღების ერთ-ერთ ყველაზე პრაქტიკულ საშუალებას წარმოადგენდა XII-XIII საუკუნეებში ამ უდიდესი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანაში. ''და ჰარმა-შასტრა ნადარა'' გვამცნობს, რომ ''აბჰოჯანას'' მეთოდის გამოყენებისას, ხშირ შემთხვევაშიუ არა მხოლოდ კრედიტორი იწყებდა შიმშილობას, არამედ იგი აშიმშილებდა თავისი ოჯახის წევრებსა და მოსამსახურეებსაც კი. შიმშილობა შესაძლოა გაგრძელებულიყო როგორც მოკლე ვადით, ასევე ფატალური შედეგის დადგომამდეც. უკიდურეს ვარიანტში, კრედიტორი შიმშილობას თავად მევალის სახლში იწყებდა. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ იგი მზად იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეშიმშილა და ეშიმშილა მანამ, სანამ არ გარდაიცვლებოდა. თუ ''აბჰოჯანა'' ტრაგიკული შედეგით დასრულდებოდა, მევალეს არა მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, არამედ იურიდიულიც, რადგან მას ადამიანის განზრახ მკვლელობაში სდებდნენ მსჯავრს და სასტიკადაც სჯიდნენ.



**Genia.ge**

## 360 გრადუსის შესახებ

ბაბილონელი ქურუმები უძველესი ეპოქიდანვე აწარმოებდნენ მზეზე დაკვირვებას და ცდილობდნენ, როგორმე გაეზომათ მისი დღიური გზა. ხანგრძლივი კვლევების, დაკვირვებებისა და დიდი მუშაობის შედეგად მათ ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას საბოლოო ჯამში დიდებულად გაართვეს თავი. ბაბილონელმა ქურუმებმა გამოთვალეს, რომ თუ იმ გზაზე, რომელსაც მზე ცის თავზე გაივლის ერთი დღის განმავლობაში, ერთმანეთის გვერდით მჭიდროდ დავაწყობთ მზის წრის დიამეტრის მქონე დისკოებს, ისინი ზუსტად 180 დაეტევა. მაშასადამე, ქურუმებმა დაასკვნეს, რომ მზე დღეში 180 ''ნაბიჯს'' დგამს. გზის მეორე ნახევარს კი იგი ღამით გაივლისო. ამიტომ მათი დასკვნებით მზის დღეღამური გზის სიგრძე 360 ''ნაბიჯს'' უდრიდა.



სწორედ ასე გახდა ბაბილონელთათვის წმინდა რიცხვი 360 და გარდა ამისა, გაჩნდა გრადუსიც, რაც, თავის მხრივ, ლათინური სიტყვაა და ნიშნავს _ ''ნაბიჯს''. და როდესაც ჩვენ რომელიმე კუთხეს გრადუსებით ვზომავთ, ეჭვადაც კი არ ვიცით, რომ მას მზის ''ნაბიჯებით'' ვზომავთ.

**Genia.ge**

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა